

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი



ქ ე თ ე ვ ა ნ ი მ ა ი ს უ რ ა ძ ე

საგადასახადო გარემოს გავლენა საერთაშორისო კომპანიების
საქმიანობაზე საქართველოში

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია

ბიზნესის ფაკულტეტის საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის

მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

ხელმძღვანელი: თეა კასრაძე,
პროფესორი

თბილისი 2021

ანოტაცია
საგადასახადო გარემოს გავლენა საერთაშორისო კომპანიების საქმიანობაზე
საქართველოში

ქეთევანი მაისურაძე

ქვეყნის ეკონომიკური სისტემის განვითარება უმეტეს შემთხვევაში დამოკიდებულია გამართულ საგადასახადო პოლიტიკისა და კარგად ფუნქციონირებად საგადასახადო სისტემაზე. საქართველოს საგადასახადო პოლიტიკის მიზანს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ფორმირება და საერთაშორისო და ადგილობრივი ბიზნესისთვის მიმზიდველი საგადასახადო გარემოს შექმნა წარმოადგენს. ნაშრომში განხილულია ყველა ის კომპონენტები რომლის მეშვეობითაც ყალიბდება ბიზნეს გარემო. ამ კომპონენტებს შორის უმნიშვნელოვანესია საგადასახადო გარემო, რომლის სიმარტივე და გადასახადების რაოდენობის სიმცირე და დაბალი განკვეთები ხდის ქვეყანას მიმზიდველს საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის, რომელთა საქმიანობა იწვევს ქვეყნის კეთილდღეობის ზრდას. ნაშრომში განხილულია სხვადასხვა ქვეყნის საგადასახადო პოლიტიკა და ცხადად ჩანს რომ გადასახადების სახეებსა და მათ განაკვეთებს შორის თვალსაჩინო განსხვავებებია. რასაც განაპირობებს ქვეყნების ეკონომიკის სპეციფიკა, ბიუჯეტის მდგომარეობა და განვითარების განსხვავებული დონე. საქართველოს საგადასახადო გარემო მეტად ლიბერალური და მარტივია, რასაც განაპირობებს გადასახადების სიმცირე, მათი დაბალი განაკვეთები, გამარტივებული და გასაგები საგადასახადო კოდექსი და მტავრობის მიერ განხორციელებული სხვადასხვა რეფორმა თუ სტიმული, რომელტა შორის განხილული გვაქვს ესტონური მოდელი და 4 თავისუფალი ინდუსტრიული ზონა.

Annotation

The impact of the tax environment on the activities of international companies in Georgia

Ketevani Maisuradze

The development of the country's economic system in most cases depends on sound tax policy and a well-functioning tax system. The goal of Georgia's tax policy is to form the revenue side of the budget and create an attractive tax environment for international and local businesses. The paper discusses all the components through which the business environment is formed. Among these components, the most important is the tax environment, the simplicity of which and the small number of taxes and low rates make the country attractive to international organizations, whose activities increase the country's prosperity. The paper discusses the tax policies of different countries and it is clear that there are obvious differences between the types of taxes and their rates. Which is determined by the specifics of the economies of the countries, the state of the budget and the different level of development. Georgia's tax environment is very liberal and simple, due to low taxes, low rates, simplified and understandable tax code and various reforms or incentives implemented by the government, including the Estonian model and 4 free industrial zones.

შესავალი.....	5
თავი 1. ბიზნეს გარემო და მისი გავლენა საერთაშორისო ბიზნესის განვითარებაზე..	10
1.2 საერთაშორისო ბიზნესი, ბიზნეს გარემო და მისი თავისებურებანი.....	10
1.2 ბიზნეს გარემოს გავლენა საერთაშორისო ბიზნესზე	14
1.3 უცხოური გამოცდილება-საერთაშორისო ბიზნესის საგადასახადო გარემო სხვადასხვა ქვეყნებში.....	25
თავი 2. საქართველოს საგადასახადო გარემო, საგადასახადო სისტემა და ადმინისტრაცია.....	31
2.1 საქართველოს საგადასახადო გარემოს მიმოხილვა, მისი გავლენა ბიზნეს და საინვესტიციო გარემოს ფორმირებაში.	31
2.2 საქართველოს საგადასახადო სისტემა და მისი გავლენა საერთაშორისო კომპანიების საქმიანობაზე	42
2.3 საკანონმდებლო ჩარჩო.....	55
თავი 3. საგადასახადო სტიმულები, რომლებიც საერთაშორისო კომპანიებს უბიძგებს აკეთონ ბიზნესი საქართველოში.....	62
3.1 თავისუფალი ინდუქტრიული ზონა	62
3.2 ესტონური მოდელი	64
დასკვნა	73
გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა	78

შესავალი

თემის აქტუალურობა: განვითარებადი ქვეყნებისთვის, ისეთი როგორც საქართველო, ეკონომიკური სისტემის განვითარება უმეტესწილად დამოკიდებულია თუ როგორ ფუნქციონირებს მისი საგადასახადო სისტემა. ბევრი ეკონომისტის აზრით, მხოლოდ გამართული, სამართლიანი და ეფექტური საგადასახადო სისტემის ფორმირების პირობებშია შესაძლებელი ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობა, მდგრადი ეკონომიკური განვითარების მიღწევა, წარმოების გაზრდა და შესაბამისად ქვეყნის წინაშე არსებული სოციალური პრობლემების შემცირება. ცვალებადი ეკონომიკური სიტუაციის პირობებში, საქართველოს მიზანია შექმნას ოპტიმალური საგადასახადო სისტემა, რომელიც ხელს შეუწყობს ადგილობრივი და უცხოური კომპანიების თანაბარპირობებში წარმატებულ ოპერირებას. კერძოდ, საგადასახადო სისტემის მიზანი უნდა იყოს ბიუჯეტის ძირითადი ნაწილის ფორმირება, სტიმული სამეწარმეო აქტივობისა და ინვესტიციების მოზიდვისთვის. საგადასახადო პოლიტიკის უმთავრეს მიზანს კერძო სექტორისა და უცხოური ინვესტიციებისათვის, ასევე ბიზნესის დაწყების და განვითარებისათვის, მიმზიდველი და ხელსაყრელი საგადასახადო გარემოს შექმნა წარმოადგენს. საქართველოს სტრატეგიულ გეგმებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გადასახადის ადმინისტრირების გამარტივებას და საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისობას ევროკავშირის კანონმდებლობასთან. მსოფლიო ბანკის 2020 წლის კვლევის მიხედვით, ბიზნესის კეთების კუთხით, საქართველო მსოფლიოში მეშვიდე ადგილს იკავებს ევროპის და ცენტრალური აზიის რეგიონში.¹ ამას განაპირობებს რამდენიმე მიზეზი: ბიზნესის დაწყებისთვის აუცილებელი პროცედურები და დრო მინიმუმამდეა დაყვანილი. იგივე შეიძლება

¹ Doing Business 2020 : Comparing Business Regulation in 190 Economies. 2020
<https://openknowledge.worldbank.org/bitstream/handle/10986/32436/9781464814402.pdf?sequence=24&isAllowed=y>

ითქვას ქონების სარეგისტრაციოდ საჭირო პროცედურების რაოდენობაზე, ქვეყანაში მუდმივად მიმდინარეობს რეფორმები სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესების და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობის მიმართულებით. გამარტივებულია ბიზნესის რეგისტრაციის პროცედურა უცხოელებისთვის საქართველოში და აღმოფხვრილია რისკები, რომლებიც დაკავშირებულია ვალუტის კონტროლთან, ტრანზაქციის პასპორტთან და სხვა პროცედურებთან, რის გამოც მეწარმეების დიდი ნაწილი მთელი მსოფლიოს მასშტაბით სულ უფრო ხშირად განიხილავს ქვეყანას, როგორც ადგილს, სადაც მათ შეუძლიათ აწარმოონ არსებული ბიზნესი ან დაიწყონ ნულიდან, აქტივების დაცვისა და ბიზნესის გადასახადების შემცირების მიზნით.

კანონი "მეწარმეთა შესახებ", რაც უცხოელებისთვის საქართველოში ბიზნესის წამოწყების და ბიზნესის წარმართვას ისევე უწყობს ხელს, როგორც მის მოქალაქეებს. მაგალითად, ორგანიზაციებისათვის საწესდებო კაპიტალის მინიმალური ოდენობის მოთხოვნები არ არსებობს, უფრო მეტიც, ამ ინფორმაციის მიწოდებაც კი არ არის სავალდებულო. სახელმწიფო აყენებს ერთსა და იმავე მოთხოვნებს როგორც რეზიდენტებს, ასევე არარეზიდენტებს.

კომპანიის ხელმძღვანელი შეიძლება გახდეს ნებისმიერი პირი, მოქალაქეობისა და რეგისტრაციის ადგილის მიუხედავად. უცხოურ კომპანიებს, რომლებსაც აქვთ ადგილობრივი საბანკო ანგარიშები, შეუძლიათ უცხოური ვალუტის გაყიდვა და ყიდვა შეზღუდვების გარეშე. განხილული პროცედურები ნათლად ასახავს რამდენად ლიბერალური ბიზნეს გარემოა ქვეყანაში.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის ფორმირება და მისი შემუშავების აუცილებლობა 1991 წლიდან დაიწყო, როდესაც ქვეყანა საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის პროცესში იყო.

დროთა განმავლობაში საგადასახადო სისტემა და საგადასახადო ადმინისტრირება მარტივდებოდა, საგადასახადო ტვირთის მცირდებოდა და უფრო თანაბრად ნაწილდებოდა, საქართველომ გაატარა ფართო ეკონომიკური რეფორმები, 2003 წელს თითქმის ჩავარდნილი მდგომარეობიდან

გადავიდა შედარებით კარგად ფუნქციონირებად საბაზრო ეკონომიკაზე. რეფორმების მეშვეობით, მთავრობამ ძირითადად აღმოფხვრა დაბალი დონის კორუფცია. მსოფლიო ბიზნესის მსოფლიო ბიზნესის ბანკის ყოველწლიური მოხსენებით გათვალისწინებულ 190 ქვეყანას შორის საქართველოს ბიზნესის კეთების მარტივად ჩატარებულ რეიტინგში გასული წლის მე-9 პოზიციიდან მე-6 პოზიციაზე გადაინაცვლა. საქართველოს ეკონომიკაში განხორციელებულმა რეფორმებმა გამოიწვია უცხოური ინვესტიციების დიდი შემოდინება. საქსტატის მონაცემებით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 2016 წლიდან 2017 წლამდე გაიზარდა 19%-ით (2016 წელს 1,650 მლნ აშშ დოლარი; 2017 წელს 1,963 მლნ აშშ დოლარი). 2017 წლის პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ყველაზე მაღალი მაჩვენებელია ბოლო 22 წლის განმავლობაში (1996 წლიდან). ამასთან, საქსტატის მონაცემებით, 2018 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიცია 36% - ით შემცირდა, 2017 წელთან შედარებით (1,265 მლნ აშშ დოლარი 2018 წელს, 1 963 მლნ აშშ დოლარი 2017 წელთან შედარებით).

სამაგისტრო ნაშრომის კვლევის მიზანი: ნაშრომის მიზანია საქართველოს საგადასახადო გარემოს თანამედროვე მდგომარეობის, ჩატარებული და მიმდინარე რეფორმების, არსებული პრობლემების და გამოწვევების ფონზე ბიზნესის გარემოს შესწავლა-გაანალიზება, რომელიც გავლენას ახდენს საერთაშორისო ბიზნესის ფუნქციონირებაზე, საქმიანობის მიმართულებაზე, განვითარების ტემპებსა და მასშტაბებზე.

კვლევის მიზნიდან გამომდინარე საკვლევი კითხვა შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს: რატომ არის ქართული ბაზარი უცხოური კომპანიებისთვის მიმზიდველი დარა გავლენა აქვს საგადასახადო კანონმდებლობას უცხოური კომპანიების ბიზნესსაქმიანობაზე საქართველოში?

სამაგისტრო ნაშრომის ძირითადი ამოცანებია:

- ბიზნეს გარემოს არსის, თავისებურებების და საერთაშორის ბიზნესის ოპერირებაზე მისი გავლენის შესწავლა;
- კომპანიების საერთაშორისო ბიზნესში ჩართვის ძირითადი მიზეზების შესწავლა;
- განვითარებული ქვეყნების საგადასახადო გარემოს შესწავლა და შედარება საქართველოს საგადასახადო გარემოსთან;
- საქართველოს საგადასახადო გარემოს და მისი ბიზნეს და საინვეტიციო გარემოს ფორმირებაზე გავლენის შესწავლა;
- საქართველოში განხორციელებული საგადასახადო რეფორმების გაანალიზება და მიღებული შედეგების შეფასება;
- საერთაშორისო ორგანიზაციების ქვეყნის საგადასახადო გარემოს მიმართ დამოკიდებულების შესწავლა.

სამაგისტრო ნაშრომის კვლევის საგანი და ობიექტი: კვლევის ობიექტია

საქართველოს საგადასახადო გარემო, ხოლო კვლევის საგანს კი საერთაშორისო კომპანიების საქმიანობაზე საგადასახადო გარემოს ზემოქმედება წარმოადგენს.

სამაგისტრო ნაშრომის კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძველი:

ნაშრომის თეორიულ საფუძველს წარმოადგენს საქართველოს საკანონმდებლო და ნორმატიული აქტები, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ინსტრუქციები, მითითებები და ბრძანებები, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები, ქართველი და უცხოელ მეცნიერების ნაშრომები საგადასახადო საკითხებთან დაკავშირებით, საგადასახადო პოლიტიკის დოკუმენტები და სტარტეგიები, საერთაშორისო ორგანიზაციების კვლევები და ანგარიშები.

ნაშრომის კვლევის მეთოდები: ნაშრომის კვლევის მიზნიდან გამომდინარე კვლევის მეთოდად შერჩეული და განხორციელებული იქნა სამაგიდო კვლევა - სხვადასხვა სამეცნიერო ნაშრომებიდან, პუბლიკაციებიდან, ანგარიშებიდან,

პოლიტიკის დოკუმენტებიდან და სტრატეგიებიდან მოხდა მეორადი მონაცემების და ინფორმაციის შეგროვება, შესწავლა და ანალიზი, რის საფუძველზეც გაკეთდა შესაბამისი დასკვნები.

1. ბიზნეს გარემო და მისი გავლენა საერთაშორისო ბიზნესის განვითარებაზე

1.2 საერთაშორისო ბიზნესი, ბიზნეს გარემო და მისი თავისებურებანი გლობალიზაციის პირობებში კომპანიები სულ უფრო მეტად ებმებიან საერთაშორისო ბიზნესში. ადრე ეს შესაძლებლობა მხოლოდ მსხვილ კომპანიებს ქონდათ, დღეს კი მცირე მასშტაბის კომპანიებს ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიების, კერძოდ ინტერნეტის გამოყენებით, საშუალება ეძლევათ შეამცირონ დანახარჯები და მეტად კონკურენტუნარიანები იყვნენ და აწარმოონ საკუთარი ბიზნესი ერთ ან რამდენიმე ქვეყანაში. საერთაშორისო ბიზნესში ჩართვის რამდენიმე მიზეზი არსებობს:

- ახალ ბაზარზე გამორჩეული ძლიერი მხარის ან უპირატესობის გამოყენებით გაზარდოს თავისი შემოსავალი და მოგება.
- რესურსები შეიძინოს უფრო დაბალი ფასით.
- ბიზნესის გაფართოების მიზნით ახალი გასაღების ბაზრების მოძიება.
- ამაღლოს კონკურენტუნარიანობა და წარმართოს კონკურენცია უფრო ეფექტურად.

საერთაშორისო ბიზნესის ფორმებია:

ექსპორტ-იმპორტი - ქვეყნებს შორის სასაქონლო (ნედლეული, მასალები ავტომობილები, ტანსაცმელი, კომპიუტერები...) და მომსახურების (საფინანსო-საკრედიტო, სატრანსპორტო, სააუდიტორო...) ნაკადების მოძრაობა. ექსპორტს ძალიან დიდი როლი აქვს მსხილი კომპანიების ფინანსურ წარმატებაში, რადგან ასეთი ტიპის კომპანიების პროდუქციის და მომსახურების გაყიდვის ძირითადი ნაწილი საზღვარგარეთის მყიდველებზე მოდის.

უცხოური ინვესტიციები - ერთი ქვეყნის რეზიდენტი გადასცემს მეორე ქვეყნის რეზიდენტს კაპიტალს გამოყენების მიზნით. არსებობს პირდაპირი უცხოური (საკუთრების ობიექტების, აქტივების და მთლიანად კომპანიის შესყიდვა) და

პორტფელური ინვესტიციები (აქციების, ობლიგაციების, სადეპოზიტო სერთიფიკატის შექმნა).

ლიცენზირება - ერთ ქვეყანაში მოქმედი კომპანია გასცემს ლიცენზიას სხვა ქვეყანაში მოქმედ კომპანიაზე თავისი არამატერიალური აქტივის, როგორც არის პატენტი, საავტორო უფლებები, წარმოების საიდუმლოებები, გამოყენების უფლებას გარკვეული თანხის გადახდის სანაცვლოდ.

ფრენშაიზინგი - კონკრეტულ ქვეყანაში არსებული კომპანია გადასცემს ნებართვას წარმოების ტექნოლოგიის, ბრენდის, სავაჭრო მარკის და ლოგოტიპის გამოყენებაზე სხვა ქვეყანაში არსებულ კომპანიაზე. ფრენშაიზის მიმღების ერთ-ერთი ძირითადი ვალდებულებაა საზღაურის გადახდა ფრენშაიზის მიმცემისათვის მთელი იმ პერიოდის განმავლობაში, რა ვადითაც იდება ფრენშაიზინგის ხელშეკრულება. საზღაური ოდენობა და გადახდის წესი განისაზღვრება ხელშეკრულებით.

მართველობითი კონტრაქტი - კონკრეტულ ქვეყანაში არსებული კომპანია გადასცემს ნებართვას თავისი კომპანიის საწამო სიმძლავრეების მართვაზე ან სხვა სახის მმართველობით მომსახურებაზე სხვა ქვეყანაში არსებულ კომპანიას გარკვეული თანხის გადახდის სანაცვლოდ.

მნიშვნელოვანია განვიხილოთ ბიზნესგარემოს ოთხი დონე:

- ბიზნესის შიდა გარემო - ყველაზე ახლოსაა კომპანიასთან და უშუალო გავლენას ახდენს მის ბიზნეს საქმიანობაზე. ეს ფაქტორებია მფლობელები და აქციონერები, დირექტორთა საბჭო / მენეჯმენტი, თანამშრომლები და ა.შ
- საბაზრო ლოკალური გარემო - ბიზნესს აქვს უშუალო კონკრეტული ურთიერთობა. იგი მოიცავს ბიზნესზე მოქმედი ფაქტორებისა და პირობების ერთობლიობას როგორც ლოკალურ, ისე რეგიონულ დონეზე.
- საერთოეროვნული საბაზრო გარემო - ეკონომიკური, დემოგრაფიული, ბუნებრივი, მეცნიერულ-ტექნიკური, პოლიტიკური და კულტურული ფაქტორების ერთობლიობა, რომლებიც არ არიან ბიზნესზე დამოკიდებული.

- საერთაშორისო საბაზრო გარემო -საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები, რომლებიც არეგულირებენ საერთაშორისო ბაზრებზე მოქმედი კომპანიების ურთიერთობებს (მაგ. მსოფლიო ბანკი) , საერთაშორისო ბიზნესის ინფრასტრუქტურის განვითარების დონე (მაგ. საერთაშორისო მეწარმეობის პირობები).

საერთაშორისო კომპანიების საქმიანობა საბაზრო გარემოს სხვადასხვა დონეზე ვლინდება . მაგალითად, ტექნიკის მწარმოებელი კომპანიის საქმიანობა არ შემოიფარგლება მხოლოდ ლოკალური ბაზრით, სადაც იგი ყიდულობს პროდუქტის საწარმოებლად მასალებს, ასევე იგი მოქმედებს საერთაშორისო ბაზრის სივრცეში, რომლის დროსაც, მენეჯერებმა უნდა გაითვალისწინონ ყველა ის ფაქტორი და პირობა, რომელიც მოქმედებს როგორც ლოკალურ, საერთოეროვნულ, ასევე საერთაშორისო ბაზარზე. აღნიშნული ფაქტორები და პირობების ერთობლიობა ქმნის ბიზნეს გარემოს.

ყველა კომპანია საქმიანობს ბიზნეს გარემოში. გარემო არის ყველა რესურსის წყარო, რომელიც ბიზნესს სჭირდება საქმიანობისთვის.ბიზნეს გარემო არის ყველა ის ფაქტორი, მოვლენა, გავლენა და მდგომარეობა, რომელიც ბიზნესის გარშემოა და ზემოქმედებს მასზე. გარემო შედგება მრავალი კომპონენტისგან, რომლებიც ერთმანეთთან ურთიერთკავშირშია, შესაბამისად მუდმივად ცვლილებებისკენ არიან მიმართულნი. ჩვენ ვცხოვრობთ დინამიურ გარემოში, რომელიც მუდმივად იცვლება. ამიტომ ბიზნესი უნდა ითვალისწინებდეს გარემოში მომხდარ ცვლილებებს და როგორ მოქმედებს ეს ცვლილებები მის საქმიანობაზე. ვაკუუმში ვერანაირი ბიზნესი ვერ ისარსებებს, განსაკუთრებით საერთაშორისო ბიზნესი, რომლისთვისაც ბიზნეს გარემოს შესწავლა უმნიშვნელოვანესია, რადგან არსებული ბიზნესგარემოს მდგომარეობის დადგენა, მისი გაანალიზება და სრულყოფის გზების განსაზღვრა უშუალო გავლენას ახდენს ბიზნესის განვითარებასა და საერთაშორისო ბაზარზე მის წარმატებულ ფუნქციონირებაზე.

გამოყოფენ ბიზნესის შიდა და გარე გარემოს. ელემენტები რომლებიც ეკუთვნიან კომპანიას და ექვემდებარებიან შიდა კონტროლს, წარმოადგენენ სისტემის შიდა გარემოს. შიდა გარემოს ასპექტები მოიცავს: ორგანიზაციის მისიას, მიზნებს, ამოცანებს, სტრატეგიას, სტრუქტურას, კორპორაციულ კულტურას, მფლობელებს და დირექტორთა საბჭოს, თანამშრომლებს, ორგანიზაციის სხვა ერთეულებსა და პროფკავშირებს. ხოლო ის ელემენტები რომლების ორგანულად არ ეკუთვნიან მოცემულ ფირმას, არ ექვემდებარებიან მისი მხრიდან რეგულირებას, მდებარეობენ კომპანიის ორგანიზაციული საზღვრების გარეთ, მაგრამ საკმაოდ დიდი ზეგავლენას ახდებენ ბიზნესის ფუნქციონირებაზე და ამის გამო მათი გათვალისწინება ბიზნესის ფუნქციონირებაში აუცილებლად გასათვალისწინებელია, ისინი აყალიბებენ სისტემის გარე გარემოს. გარე გარემო თავის მხრივ შედგება პირდაპირი და არაპირდაპირი ფაქტორებისგან.

პირდაპირი ზემოქმედების ფაქტორებია:

- მომწოდებლები;
- მომხმარებლები;
- კონკურენტები;
- შრომითი რესურსები;
- კანონები;
- სახელმწიფო მარეგულირებელი დაწესებულებები;
- მედია;
- ფინანსური შუამავლები

არაპირდაპირ ზემოქმედების ფაქტორებია:

- საერთაშორისო ბიზნესის სამართლებრივი გარემო;
- ბიზნესის პოლიტიკური გარემო;
- ეკონომიკური გარემო;
- ტექნოლოგიური გარემო;
- კულტურული, ეთნიკური, სოციალური გარემო;

- ბუნებრივი გარემო.

კომპანიამ საკუთარი ძალისხმევა უნდა მიმართოს ორივე, შიდა და გარე გარემოს შესწავლის მიმართულებით. მაგალითად, ორგანიზაციამ შეისწავლა შიდა გარემო და გამოვლინდა რომ აქვს ფულის სიჭარბე, მენეჯმენტმა შეიძლება გადაწყვიტოს ამ ჭარბი ფულადი ნაკადების ინვესტირება. ინვესტიცია რომ მომგებიანი იყოს, აუცილებელია გარე გარემოს შესწავლა. ეს კონკრეტული მაგალითი ასახავს, იმას რომ გარე და შინაგანი ძალები ურთიერთქმედებენ და გავლენას ახდენენ ორგანიზაციის გადარჩენასა და ზრდაზე, მენეჯერებმა კარგად უნდა შეისწავლონ ერთდროულად ორივე ფაქტორი, რადგან გარე გარემო ავლენს შესაძლებლობებსა და საფრთხეებს, ხოლო შიდა გარემო - ძლიერ და სუსტ მხარეებს. ბიზნეს გარემო ხელს უწყობს ბიზნეს შესაძლებლობების გამოვლენას, სასარგებლო რესურსების გამოყენებას, ეხმარება დაგეგმვაში და აუმჯობესებს ბიზნესის მთლიან მუშაობას, ზრდას და მომგებიანობას.²

1.2 ბიზნეს გარემოს გავლენა საერთაშორისო ბიზნესზე

საერთაშორისო ორგანიზაციების მოქმედების ბიზნესგარემო რთული სტრუქტურით გამოირჩევა, ამ სირთულეს განაპირობებს ის უნიკალური ფაქტორები, რომლებიც დამახასიათებელია იმ ქვეყნის ან ქვეყნებისთვის, რომელშიც კომპანია ოპერირებს.

ბიზნეს გარემო შემდეგი ფაქტორების ერთობლიობას წარმოადგენს:

- სამართლებრივი გარემო;
- პოლიტიკური გარემო;
- ეკონომიკური გარემო;
- ტექნოლოგიური გარემო;
- კულტურული, ეთნიკური და სოციალური გარემო;

² თ.შენგელია, დ.ნარმანია, გ.ერქომაიშვილი, გ.გრიგალაშვილი; საერთაშორისო ბიზნესი; გამ: „ უნივერსალი“ თბილისი 2011

- ბუნებრივი გარემო;

მოკლედ მიმოვიხილავ თითოეულ მათგანს და უფრო მეტად ყურადღებას გავამახვილებ სამართლებრივი გარემოს განხილვაზე, რადგან ნაშრომის მთავარი თემაა საგადასახადო გარემოს გავლენა საერთაშორისო კომპანიების საქმიანობაზე. საგადასახადო გარემო, კანონმდებლობა და პოლიტიკა კი სამართლებრივი გარემოს შემადგენელი ელემენტია.

პოლიტიკური გარემო გულისხმობს პოლიტიკურ ან სამთავრობო მოქმედებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ბიზნესის ოპერაციებზე და ისინი წარმოადგენენ არასაბაზრო ძალას. პოლიტიკური გარემოში მოქმედი კომპონენტებია მთავრობა, ქვეყნის მოქალაქეები, წესები, რეგულაციები და საერთაშორისო ურთიერთობები. ქვეყნის ცენტრალურ ხელისუფლებასთან დაკავშირებული პოლიტიკური ფაქტორების მაგალითებია ბიუროკრატის დონე, კორუფცია და მთავრობის სტაბილურობა. მაგალითად, ქვეყანაში კორუფცია აფერხებს ბიზნესს ოპერაციებს იქმნება არასასურველი გარემო ბიზნესის წარმოებისთვის, სადაც კორუმპირებული პირები უფრო მეტად არიან უფლებამოსილი განავითარონ თავიანთი ბიზნეს მიზნები, ვიდრე არაკორუმპირებული პირები. უკიდურესად არასტაბილური მთავრობა ვერ შესთავაზებს ბიზნესმენებს უსაფრთხოებას, რაც მათ სჭირდებათ მშვიდობიანი ვაჭრობისთვის. საერთაშორისო ურთიერთობებთან დაკავშირებული პოლიტიკური ფაქტორების მაგალითებია სავაჭრო ტარიფების შესახებ პოლიტიკა, საქონლისა და მომსახურების იმპორტისა და ექსპორტის პოლიტიკა და საერთაშორისო სავაჭრო ხელშეკრულებები. ნებისმიერი კომპანია, რომლის მიზანი უცხოური ბაზრის ათვისებაა, ვალდებულია შეისწავლოს შემდეგი საკითხები: როგორია ქვეყნის პოლიტიკური წყობა, მთავრობის დამოკიდებულება უცხოური კომპანიების მიმართ, ქვეყანაში საბაზრო ურთიერთობები დომინირებს თუ სახელმწიფო რეგულირების პრინციპი და ა.შ

ბიზნესის პოლიტიკურ გარემოში მოიაზრება ასევე კანონებისა და სახელმწიფო სტრუქტურების ერთობლიობა, რომლებიც ზღუდავენ ან ასტიმულირებენ

ბიზნესის საქმიანობას კონკრეტული მომენტისათვის.

ბიზნესგარემოს ერთერთ ძირითადი და მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ პოლიტიკაა, რომლის ზეგავლენა სამეწარმეო გარემოზე მნიშვნელოვანია. ერთის მხრივ, ბიზნესი მოქმედებს პოლიტიკაზე, განსაკუთრებით, ეკონომიკურ პოლიტიკაზე, ხოლო მეორეს მხრივ პოლიტიკა განსაზღვრავს ბიზნესის ქცევის წესებს.

პოლიტიკური გარემოს გავლენის ხარისხი ბიზნესსაქმიანობაზე მაღალია, რადგან სწორედ სახელმწიფოს შეუძლია თავისი პოლიტიკით წახალისოს ბიზნესი ან შეაფერხოს იგი. ამასთან, პოსტსოციალისტურ ქვეყნებში და მათ შორის საქართველოშიც, სადაც დემოკრატიული პოლიტიკური სისტემები ჯერ კიდევ ფორმირების პროცესშია პოლიტიკური ფაქტორები სერიოზულ გავლენას ახდენენ ბიზნესის განვითარებაზე. თუმცა, ნებისიერ შემთხვევაში სახელმწიფოს ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას უნდა წარმოადგენდეს ისეთი პოლიტიკის შემუშავება და გატარება, რომელიც უზრუნველყოფს ბიზნესის ოპტიმალურ რეგულირებას. ეს კი მას შეუძლია ეკონომიკური და ადმინისტრაციული ბერკეტების გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს ბიზნესის ეფექტურ ფუნქციონირებასა და განვითარებას. ბიზნესის სახელმწიფოებრივ რეგულირებას სამი მიზანი გააჩნია: 1) ბიზნესის არაკეთილსინდისიერი კონკურენციისაგან დაცვა; 2) მომხმარებელთა ინტერესების დაცვა; 3) თვალყურის დევნება, თუ როგორ უზრუნველყოფს მაღალმომგებიანი ბიზნესი მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებას.

ეკონომიკური გარემო - დაკვირვება იმ ქვეყნის ეკონომიკაზე, სადაც ფირმა ფუნქციონირებს მნიშვნელოვანია. ასევე კომპანიამ ყურადღება უნდა მიაქციოს საერთაშორისო ეკონომიკურ ტენდენციებს.

ეკონომიკური გარემოს შესწავლისას კომპანიებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ შემდეგ ფაქტორებზე:

- ეკონომიკური განვითარების ტენდენციები;
- ინფლაციის დონე და მშპ;

- საზოგადოების ცხოვრების დონის ზრდის მაჩვენებელი;
- საქმიანი აქტივობის ციკლი;
- უმუშევრობის დონე;
- ჯანსაღი კონკურენცია და ბაზრების ეფექტური ფუნქციონირება.

როდესაც საერთაშორისო კომპანია ფუნქციონირებას იწყებს სხვა ქვეყანაში, უნდა განსაზღვროს მისი ბიზნესი როგორ გავლენას მოახდენს ქვეყნის ეკონომიკაზე. კერძოდ: ქმნის ახალ სამუშაო ადგილებს, იხდის გადასახადებს, რაც აძლიერებს ადგილობრივ ეკონომიკას. თუმცა არსებობს ასევე საფრთხეები, შესაძლებელია მაღალმა კონკურენციამ, ადგილობრივი კომპანიების დასუსტება ან მათი საერთოდ გაქრობა გამოიწვიოს.

ტექნოლოგიური გარემო - ბოლო 150 წლის განმავლობაში ტექნოლოგია მნიშვნელოვნად განვითარდა. ტექნოლოგიის გამოყენებამ შეიძლება შეამციროს ან გაზარდოს ფირმის შესაძლებლობები. შესაძლებლობების შეამცირებას იწვევს როდესაც ფირმას არ შეუძლია დაინახოს ინდუსტრიაში მიმდინარე ტექნოლოგიური ცვლილებები. უახლესი ტექნოლოგიის საწამო პროცესში ჩართვას შეუძლია ახალი პროდუქტების ახალი შესაძლებლობების გამოვლენა ან არსებული პროდუქტის გაუმჯობესება, მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება, წარმოების ღირებულების შემცირება და უკეთესი პროდუქციის მიწოდება საბოლოო მომხმარებლებისთვის კონკურენტებთან შედარებით.

ფირმებმა, განსაკუთრებით საერთაშორისო ბაზარზე მყოფებმა, უნდა ისწავლონ არსებული და სავარაუდო სამომავლო ტექნოლოგიური მიღწევების გააზრება, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინონ მათ პროდუქტებსა და მომსახურებებზე. ტექნოლოგიის გამოყენებამ ასევე შეიძლება ხელი შეუწყოს კაპიტალიზმის ან სხვა ეკონომიკური სისტემის განვითარებას. ახალი ტექნიკა და პროგრამული უზრუნველყოფა, რომლებიც აუმჯობესებს პროდუქტიულობას და ამცირებს ხარჯებს, შეიძლება იყოს კომპანიის ყველაზე ღირებული აქტივი.

მრავალი, დიდი თუ მცირე ბიზნესი იყენებს ტექნოლოგიას საქონლის დიდი რაოდენობის წარმოებისთვის დროის მოკლე პერიოდში, ეფექტურობის გასაუმჯობესებლად და ოპერაციების გამარტივებისთვის. ბიზნესს ეხმარება განმეორებადი ამოცანების ავტომატიზირებაში. ტექნოლოგიური სიახლეები პირდაპირ კავშირშია წარმოების ეფექტიანობასთან, ახალი სახეობის პროდუქციის შექმნასა და მის რეალიზაციასთან. ბიზნესისთვის მნიშვნელოვანია ახალი პროდუქციის და მომსახურების შესახებ ინფორმაციის მოპოვება, ამ ინფორმაციის შენახვა და გავრცელება. საერთაშორისო კომპანიები, რომლებიც არ ჩამორჩებიან ტექნოლოგიურ სიახლებს და უშუალოდ რთავენ საწარმოო პროცესში, მეტად კონკურენტუნარიანები არიან. ტექნოლოგიური ფაქტორების ჯგუფი შემდეგნაირად გამოიყურება:

- ინოვაციური პროდუქტის შექმნის პოტენციალი და სათანადო ბაზრის ჩამოყალიბების შესაძლებლობა;
- მომსახურების გაწევის ალტერნატიული გზები;
- ახალი საწარმოო ტექნოლოგიები, საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დონე და ინფორმაციის გაცვლის ხარისხი;
- ორგანიზაციების მზაობა ახალი ტექნოლოგიების დასაწერად;
- სახელმწიფოსა და კერძო სექტორის ძალიან მეტა ინოვაციური ტექნოლოგიების განსავითარებლად.

კულტურული, ეთნიკური და სოციალური გარემო საერთაშორისო ბიზნესის წარმოებისთვის უმნიშვნელოვანესია ქვეყნის კულტურული, ეთნიკური და სოციალური გარემოს შეფასება, ვინაიდან სწორედ კულტურა განსაზღვრავს მნიშვნელოვანწილად ადამიანების ქცევას საყოფაცხოვრებო და სამსახურებრივ დონეზე. *კულტურა* არის საზოგადოებაში მიღებული ფასეულობების, რწმენისა და ადათ-წესების სისტემა. ქვეყნის სოციოკულტურული სისტემა მოიცავს დემოგრაფიული სიტუაციის ცვალებადობას, განათლების, ჯანდაცვისა და სოციალური

უზრუნველყოფის დონეს, შრომით მობილობას, ცხოვრების წესებს. *ეთიკური ქცევა* უმრავლეს შემთხვევაში აღიქმება როგორც ქცევა, რომელიც შეესაბამება მიღებულ სოციალურ ნორმებს. ის, რაც მიღებულია ერთ კულტურულ გარემოში, შეიძლება მიუღებელი და ამორალურიც კი აღმოჩნდეს სხვა კულტურაში. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეთიკური ასპექტი საერთაშორისო ბიზნესში არის კომპანიის დამოკიდებულება პერსონალისადმი, ასევე კომპანიისა და მისი მუშაკების ურთიერთობები ეკონომიკური საქმიანობის სხვა სუბიექტებთან: შემკვეთებთან, კონკურენტებთან, აქციონერებთან, მიმწოდებლებთან, დილერებთან და პროფკავშირებთან. *სოციალური პასუხისმგებლობა* ეს არის ვალდებულებების ერთობლიობა, რომლებსაც ორგანიზაცია იღებს თავის თავზე საზოგადოების ინტერესების დაცვისა და მისი შემდგომი განვითარების მიზნით. კომპანიებს გააჩნიათ სოციალური პასუხისმგებლობა მათი საქმიანობის შედეგებით დაინტერესებულთა წინაშე, ასევე, გარემოს დაცვისა და საზოგადოებრივ კეთილდღეობასთან მიმართებაში.

ბუნებრივი გარემო *ბუნებრივი გარემო* არის სივრცე, სადაც ადამიანი განალაგებს სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო, კულტურულ-საგანმანათლებლო, საყოფაცხოვრებო ობიექტებს, რაც უზრუნველყოფს მის სრულფასოვანცხოვრებას. ნებისმიერი ბიზნესის ამოცანა უნდა იყოს ეკოლოგიაზე ზრუნვა და არ უნდა იყოს იგნორირებული მდგრადი განვითარების პრინციპები. საერთაშორისო ბიზნესში მომუშავე მენეჯერებმა უნდა გაითვალისწინონ პარტნიორი ქვეყანის ეკოლოგიური სამართლის ნორმები და შეისწავლონ შესაბამისი ნორმატიულსამართლებრივი აქტები, რათა თავიდან აიცილონ საჯარიმო სანქციებით გამოწვეული ზარალი და სხვ.

სამართლებრივი გარემო ნებისმიერი ფირმის საქმიანობის რეგულირებას ახდენს სამართალი, რომელიც აისახება საკანონმდებლო ბაზაში. ამდენად ბიზნესსა და სამართალს შორის მყარდება ორმხრივი ურთიერთობა, ერთის მხრივ, სამართალი აწესრიგებს ბიზნესს, და მეორეს მხრივ კი ბიზნესი ახდენს სამართლებრივი

ნორმების სრულყოფასა და განვითარებას. ქვეყნის ეკონომიკური განვითარება და ბიზნესგარემოს ფორმირება წარმოდგენელია სახელმწიფოს ჩარევის გარეშე, სახელმწიფოს ჩარევა ხდება საგადასახო პოლიტიკის შემუშავების მეშვეობით. საერთაშორისო ბიზნესის წარმართვაზე საკუთარი და მიმღები ქვეყნების კანონები ახდენს გავლენას. სამართლებრივი გარემოს უმიშვნელოვანესი კომპონენტია ქვეყნის საგადასახადო სისტემა, მისი როლი უმიშვნელოვანესია საერთაშორისო ბიზნესის ფუნქციონირებაზე. საგადასახადო გარემო მოიცავს გადასახადების დაწესების, შეცვლისა და გაუქმების, გადახდევინების პრინციპების, ფორმებისა და მეთოდების, საგადასახადო ორგანოების, საგადასახადო კონტროლის, აგრეთვე საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევისთვის პასუხისმგებლობის სახეების ერთობლიობას.

როდესაც უცხოური კომპანია შედის სხვა ქვეყნის ბაზარზე, საფრთხე არსებობს ორმაგი დაბეგვრის ან გადასახადთა სრული გადაკისრების. საგადასახადო სისტემა ეკონომიკის შემადგენელი ნაწილია, რომელიც პირდაპირ ან ირიბად მოქმედებს ფასებზე და სხვა ეკონომიკურ მაჩვენებლებზე. ამიტომ, გადასახადებით ზემოქმედება უნდა შეფასდეს ყოველთვის მისი პროგრესულობიდან გამომდინარე.

სამეწარმეო საქმიანობისთვის ხელსაყრელი გარემოს ფორმირება თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოს განვითარების უპირობო ამოცანაა. სწორედ მოწესრიგებული და მიმზიდველი ბიზნესგარემო განაპირობებ სახელმწიფოს წინაშე მდგარი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაჭრას და ქვეყნის მოსახლეობის მდგომარეობის, ამიტომ სერიოზულ როლი ეკისრება გამართულ საგადასახადო გარემოს ეკონომიკის ფუნქციონირებაში.

საგადასახადო პოლიტიკის ერთ-ერთი მთავრი ფუნქცია სახელმწიფოს ფინანსური უზრუნველყოფაა, იგი იძლევა შემოსავლებისა და რესურსების გადანაწილების საშუალებას, ასევე სწორედ, საგადასახადო სისტემის მეშვეობით ხელისუფლება პრაქტიკულად შედის თითოეული მეწარმის საქმიანობის არეალში და როგორც

გადასახადების მართვით, ისე სახელმწიფო ხარჯებით უშუალოდ მონაწილეობს რეზიდენტი და არარეზიდენტი პირების კანონიერი შემოსავლების ფორმირების პროცესში. შესაბამისად გადასახადებს გააჩნიათ შემდეგი ფუნქციები: ფისკალური, სოციალური და მარეგულირებელი ფუნქციები.

- **ფისკალური ფუნქცია** - გულისხმობს გადასახადის გადამხდელის შემოსავლის ნაწილის ამოღებას სახელმწიფოს სასარგებლოდ. სახელმწიფოს მხრიდან გადასახადის ამოღება ბიზნესსექტორის მიერ აღქმული უნდა იქნეს არა მთავრობის უზრუნველყოფისათვის გაღებულ ფულად სახსრებად, არამედ მათივე კეთილდღეობის შესაქმნელად გაღებულ ხარჯად, ვინაიდან გადასახადების ფისკალური ფუნქციის მეშვეობით ხელისუფლება ახდენს სახელმწიფოს ფუნქციონირებისათვის საჭირო ფულადი რესურსების მობილიზებას, რის საფუძველზეც ხორციელდება ქვეყნისათვის პრიორიტეტული ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური ამოცანების გადაწყვეტა და საზოგადოებრივი სიკეთის ზრდა. საბოლოო ჯამში ეს აისახება როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო ბიზნესსექტორის კეთილდღეობაზეც. ფისკალური ფუნქციის ეფექტიანობისათვის მნიშვნელოვანია გადამხდელთა საგადასახადო კულტურა და მათი ნდობის ხარისხი სახელმწიფო ინსტიტუტებთან.
- **მარეგულირებელი ფუნქცია** - გადასახადები აქტიურად მონაწილეობენ ეროვნული შემოსავლის გადანაწილებით პროცესში, ასტიმულირებენ ან ანელებენ სამეწარმეო ტემპებს, აძლიერებენ ან ასუსტებენ კაპიტალის დაგროვებას, აფართოებენ ან ამცირებენ მოსახლეობის მსყიდველობითუნარიანობას. ეკონომიკური პროცესების შენელებისათვის მოთხოვნისა და მიწოდების მოცულობაზე ზემოქმედების მეშვეობით (მათი შემცირების მიმართულებით) ქვეყნის მთავრობა გავლენას ახდენს სამეწარმეო სუბიექტების მიერ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესზე. გადასახადების მეშვეობით სახელმწიფომ შეიძლება დაასტიმულიროს ან შეზღუდოს საერთაშორისო ბიზნესი.

მასტიმულირებელი ფუნქცია გულისხმობს, საგადასახადო შეღავათების მეშვეობით ეკონომიკის ამა თუ იმ სფეროს, დარგის (მცირე ბიზნესი, ტურიზმი) ხელშეწყობას. დაბეგვრის მადესტიმულირებელი ფუნქცია კი გულისხმობს საგადასახადო პოლიტიკის მკაცრი მოდელის (მაღალი საგადასახადო განაკვეთები, შეღავათების გამოუყენებლობა, შეზღუდვები) გამოყენებით ეკონომიკის ამა თუ იმ სფეროს, დარგის განვითარების, ზოგიერთი საქონლის მოხმარების შეზღუდვას. მარეგულირებელი ფუნქციის ერთ-ერთი კომპონენტია საგადასახადო შეღავათებია. მისი შემოღების შემდეგ ბაზრის შესაბამისი სეგმენტი მიმზიდველი ხდება ინვესტორისათვის და იწყება კაპიტალის შემოდინება, რაც, თავის მხრივ, იწვევს ამ სექტორში არსებული საწარმოო და კომერციული აქტივების საბაზრო ღირებულების ზრდას. ასევე საბაჟო გადასახადი, რომლის ამოცანაა რაციონალური თანაფარდობის მიღწევა ექსპორტსა და იმპორტს შორის, სავალუტო შემოსავალსა და გასავალს შორის. მარეგულირებელი ფუნქცია გამოხატავს სახელმწიფოს ურთიერთობას ბიზნესსექტორთან.

- **სოციალური ფუნქცია** - გულისხმობს მაღალშემოსავლიანი გადასახადის გადამხდელებიდან მიღებული საგადასახადო შემოსავლების დაბალშემოსავლიან ჯგუფებში გადანაწილებას.

ჩამოთვლილი ფუნქციები ნათლად გვიჩვენებს საგადასახადო გარემოს გავლენის შესახებ საერთაშორისო ბიზნეს საქმიანობაზე. დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ საბაზრო ეკონომიკის პირობებში გადასახადები ერთ-ერთ უმთავრეს როლს ასრულებენ, რომლებიც საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებასთან ერთად წარმოგვიდგებიან სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის მთავარ ფინანსურ ინსტრუმენტად, სამეწარმეო საქმიანობის განმსაზღვრელ ფაქტორად. საგადასახადო სისტემისა და საგადასახადო პოლიტიკის სრულყოფისათვის მნიშვნელოვანია დაბეგვრის პრინციპების მკაცრად დაცვა. კერძოდ: გადასახადების გადამხდელთათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა, გადასახადების ამოღების ხარჯების შემცირება, ოპტიმალური საგადასახადო განაკვეთების დადგენა.

სახელმწიფომ მხარი უნდა დაუჭიროს ინვესტიციებს ახალი პროდუქციის შექმნაზე. გააძლიეროს კონტროლი არაკანონიერი გადასახადის გადამხდელის მიმართ. თანამედროვე პირობებში საგადასახადო პოლიტიკა უნდა იყოს ადეკვატური გლობალური გამოწვევებისთვის და მნიშვნელოვანი როლი უნდა ითამაშოს იმპორტის ჩანაცვლების განვითარებაში, რაც ხელს შეუწყობს შიდა ინდუსტრიის ზრდის ხელსაყრელ პირობებს და გაზრდის საინვესტიციო მიმზიდველობას. გადასახადები არა მხოლოდ მთავრობის შემოსავლის მთავარ წყაროს წარმოადგენს; არამედ მათი გამოყენება შესაძლებელია კონკრეტული პოლიტიკის მიზნების მისაღწევად. მაგალითად, თუ საქონლის მოხმარება იბეგრება (მაგ. აქციზი ალკოჰოლზე), მაშინ ფიზიკურმა პირებმა შეიძლება მოიხმარონ იმაზე ნაკლები, ვიდრე სხვა გადასახადების გარეშე. თუ გარკვეული საქონლის ან მომსახურების გამოყენება იბეგრება (მაგალითად, წიაღისეული საწვავი), კომპანიებს შეუძლიათ აირჩიონ შემცველი საქონელი ან მომსახურება, განსაკუთრებით თუ არსებობს უპირატესობა თვითღირებულებისა და პროდუქტიულობის თვალსაზრისით (მაგალითად, ენერჯია განახლებადი წყაროებიდან). ასე რომ, მთავრობებმა შეიძლება გამოიყენონ გადასახადი გარკვეული სასურველი ქცევების მისაღწევად და არა ფინანსური შემოსავლისთვის. აქციზის გაზრდამ ბენზინზე ან გაზზე შეიძლება ხელი შეუწყოს ურბანული დაბინძურების შემცირებას: უფრო მეტი აქციზი საწვავის წარმოებაზე ან გაყიდვაზე ხელს უშლის მანქანების გამოყენებას და ხელს უწყობს საზოგადოებრივი ტრანსპორტის გამოყენებას, ავტომობილების გაზიარებას ან ველოსიპედით გადაადგილებას.

და ბოლოს, დაბეგვრას შეუძლია გავლენა მოახდინოს ოჯახის ფორმირებაზე. მაგალითად, ბავშვებისთვის გადასახადების გამოქვითვით უზრუნველყოფამ შეიძლება შობადობის დონის ამაღლება გამოიწვიოს: მრავალშვილიან ოჯახებს შეუძლიათ მიიღონ გამოქვითვები დასაბეგრ შემოსავალზე.

საგადასახადო გზით სახელმწიფო პოლიტიკის მიზნების მიღწევა, სულაც არ არის მარტივი გადასახადის ცვლილებასა და ქცევის ეფექტს შორის გაურკვეველი

ურთიერთობის გამო. საბოლოო ჯამში, ფლობს თუ არა მთავრობა, ცოდნას იმის შესახებ, თუ რა არის კარგი ინდივიდებისთვის?

საერთაშორისო ბიზნესი მიისწრაფვის წმინდა მოგების მაქსიმიზაციისაკენ.

მათ უფრო მეტ საგადასახადო პრობლემასთან აქვთ საქმე, რადგან, ერთი მხრივ, უნდა დაიცვან ადგილობრივი საგადასახადო კანონები, ხოლო, მეორე მხრივ, უნდა დააკმაყოფილონ ყველა იმ ქვეყნის საგადასახადო მოთხოვნები, სადაც უწევთ ეკონომიკური საქმიანობა. საგადასახადო წნეხის შემცირების მიზნით საერთაშორისო ფირმები ძირითადად ორ მიდგომას იყენებენ: ტრანსფერტულ ფასწარმოქმნას და „საგადასახადო სამოთხეს“.

- **ტრანსფერტულ ფასწარმოქმნა** - ეს ნიშნავს სათავო ფირმის ერთი ფილიალის ან შვილობილი საწარმოს მიერ მეორე ფილიალისათვის ფასების დაწესებას საქონელსა და მომსახურებაზე. ტრანსფერტული ფასების გონივრული განსაზღვრა კომპანიას აძლევს საშუალებას , თავიდან აიცილოს მიმღები ქვეყნის შეზღუდვები მოგების დაბრუნებაზე. მაგალითად, მიმღები ქვეყანა კრძალავს შვილობილი კომპანიის მიერ სათავო კომპანიაზე დივიდენდის გადახდას. ამის თავიდან აცილება შეიძლება ტრანსფერტული ფასის გადიდებით იმ შვილობილ კომპანიაზე, რომელსაც მიეწოდება საქონელი და მომსახურება ამ კორპორაციაში შემავალი სხვა საწარმოებიდან, ან კიდევ მისგან საერთოკორპორაციული გადასახადების ამოღებით. ამის შედეგად ფულადი სახსრები იქნება გადაადგილებული შვილობილი კომპანიიდან ფირმის სხვა სტრუქტურულ ერთეულებში გადასახდელების სახით საქონელსა და მომსახურებაზე და არა აკრძალული დივიდენდების სახით. საბოლოო შედეგი იქნება ერთნაირი: ფულადი სახსრების დაბრუნება, თუნდაც სხვა ფორმით, ხდება მიმღები ქვეყნიდან.
- **„საგადასახადო სამოთხე“** – საქმიანი ოპერაციების წარმოება ერთ-ერთ ქვეყანაში, სადაც კორპორაციული გადასახადები მოგებაზე დაბალია, ან საერთოდ არ არსებობს. ასევე ძალიან დაბალი და ზოგჯერ ნულოვანი გადასახადები, ის ანგარიშგების და კომპანიის მართვის მარტივი წესებს სთავაზობს კომპანიებს.

საერთაშორისო კომპანიას შეუძლია მაღალი გადასახადების მქონე ქვეყნიდან თავისი შვილობილი კომპანიის მოგება გადაიტანოს „საგადასახადო სამოთხეში“ დარეგისტრირებულ ფირმაში და ამით ააცილოს იგი სხვა ქვეყანაში გადასახადის იურიდიულ გადახდას. „საგადასახადო სამოთხეები“ საერთაშორისო კომპანიების მოსაზიდად თავს იკავებენ არა მხოლოდ მოგების გადასახადის დაწესებისაგან, არამედ უზრუნველყოფენ აგრეთვე სტაბილური საბანკო და სატელეკომუნიკაციო სფეროების და ეფექტიანი სასამართლო სისტემის შექმნას.³

1.3 უცხოური გამოცდილება-საერთაშორისო ბიზნესის საგადასახადო გარემო სხვადასხვა ქვეყნებში

საზღვარგარეთის ქვეყნების საგადასახადო სისტემების განხილვას მივმართავთ იმისთვის, რომ დადგინდეს რა გავლენა აქვს დაბეგვრას საერთაშორისო ბიზნესზე სხვადასხვა ქვეყანაში და როგორია ამ ქვეყნების ბიზნეს გარემო.

კვლევებმა გვიჩვენა, რომ როგორც ევროპაში, ასევე მთელს მსოფლიოში, გადასახადების სახეებსა და მათ განაკვეთებს შორის თვალსაჩინო განსხვავებებია. ეს დამოკიდებულია მათი ქვეყნების ეკონომიკის სპეციფიკაზე, ბიუჯეტის

მდგომარეობაზე, განვითარების დონეზე, ამ საკითხებისადმი მთავრობის ორგანოების და მეცნიერთა მიდგომებზე და ა.შ.

აშშ - საგადასახადო კანონის სირთულის გათვალისწინებით, საგადასახადო დაგეგმვისა და კონსულტაციის გაწევა მნიშვნელოვანია ყველა კომპანიისთვის, ვინც აშშ-ში საქმიანობს. კომპანიები აშშ-ში ექვემდებარება ცალკე ფედერალურ, შტატების და ადგილობრივ გადასახადებს. ფედერალური მთავრობა, შიდა შემოსავლების სამსახურის (IRS) საშუალებით, აგროვებს საშემოსავლო გადასახადს, კაპიტალის

³ თ.შენგელია, დ.ნარმანია, გ.ერქომაიშვილი, გ.გრიგალაშვილი; საერთაშორისო ბიზნესი; გამ: „უნივერსალი“ თბილისი 2011

მოგების გადასახადს, გადასახადს დივიდენდებზე, პროცენტებზე და სხვა პასიურ შემოსავალზე და თანამშრომელთა სახელფასო გადასახადებზე. ბიზნესს, შეიძლება, შეექმნას დამატებითი საგადასახადო ვალდებულებები იმ შტატში, სადაც ისინი საქმიანობენ. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში კორპორაციათა დასაბეგრი შემოსავლის (მოგების) საგადასახადო განაკვეთი საგადასახადო ბაზის ზრდასთან ერთად პროგრესირდება და მერყეობს 15% - 39% ფარგლებში. ამ ნიშნულის შემდეგ კი მოგების გადასახადი იღებს რეგრესიულ ხასიათს და საგადასახადო ბაზის შემდგომ ზრდასთან ერთად გამოიყენება შემცირებული საგადასახადო განაკვეთი. ხოლო 18 333 333 აშშ დოლარის საგადასახადო ბაზის ზევით განაკვეთი შეადგენს 35%-ს.

შემოსავლის ზემოთ (აშშ დოლარი)	შემოსავლის ჩათვლით (აშშ დოლარი)	გადასახდის ოდენობა (აშშ დოლარში)	საგადასახადო განაკვეთი (პროცენტი)
0	50 000	0	15
50 000	75 000	7 500	25
75 000	100 000	13 750	34
100 000	335 000	22 250	39
335 000	10 000 000	113 900	34
10 000 000	15 000 000	3 400 000	35
15 000 000	18 333 333	5 150 000	38
18 333 333			35

აშშ-ს აქვს მრავალ საზღვარგარეთის ქვეყნებთან ორმხრივი საგადასახადო ხელშეკრულებები. ეს ხელშეკრულებები განსხვავდება ერთმანეთისგან , თუმცა მიზნად ისახავს ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებას და გადასახადებისგან თავის არიდებას და ქვეყნებს შორის ვაჭრობის ხელშეწყობას. საგადასახადო ბაზის

გარკვეული მოცულობის შემდეგ მოგების გადასახადის განაკვეთის პროგრესულიდან რეგრესიულზე და პირიქით გადაყვანა უკავშირდება არაკეთილსინდისიერი მეწარმის მიერ ბიუჯეტში გადასახდელი თანხის დამალვის მიზნით კომპანიების დაყოფას მცირე საწარმოებად საგადასახადო ბაზის შესამცირებლად და მაღალი საგადასახადო განაკვეთებისაგან თავის არიდებას. ამგვარად, ამერიკის შეერთებულ შტატებში კორპორაციათა დასახეგრი შემოსავლის არსებული საგადასახადო სისტემა შედარებით შეღავათიან პირობებში აყენებს მცირე და საშუალო ბიზნესს, რაც ხელს უწყობს მათ სტიმულირებას. ვაშინგტონის შტატი არის პოპულარული არჩევანი ბიზნესისთვის, პროგნოზირებადი და ბიზნესისთვის ხელსაყრელი კანონების გამო. მიუხედავად იმისა რომ, აშშ-ს საგადასახადო გარემო რთული სტრუქტურისაა და ბევრი გადასახადის გადახდა უწევს ორგანიზაციას, უცხოური კომპანიებისთვის მიმზიდველი ბიზნეს გარემოა, ამას განაპირობებს ფართო სამომხმარებლო ბაზარის არსებობა. ასევე, გააჩნია ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი, ტერიტორიისა და ეკონომიკურ-პოლიტიკური სტაბილურობის წყალობით, აშშ-ს, რომლის წილად მოდის მსოფლიო საქონლისა და მომსახურების ვაჭრობის მნიშვნელოვანი ნაწილი. აშშ მნიშვნელოვანი ბაზარია განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისთვისაც. ამას ისიც უწყობს ხელს, რომ აშშ დოლარი წარმოადგენს მსოფლიოს ნომერ პირველ სარეზერვო და საანგარიშსწორებო საშუალებას.

საფრანგეთი - მოწინავე და ინდუსტრიული ქვეყანა, საფრანგეთი არის სიდიდით მესამე ეკონომიკა ევროპაში და მეექვსე მსოფლიოში მშპ-ს მიხედვით. მისი დახვეწილი ფინანსური ბაზარი და მაღალკვალიფიციური სამუშაო ძალა მას ბიზნესის ბიზნესის მიმზიდველად აქცევს. საფრანგეთის საგადასახადო სისტემა სხვა განვითარებული ქვეყნებისაგან განსხვავებით ხასიათდება ბიუჯეტის შემოსავლებში არაპირდაპირი გადასახადების მაღალი წილით. საფრანგეთის საგადასახადო

სისტემის განმასხვავებელ თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ არაპირდაპირი გადასახადები სჭარბობს პირდაპირს ⁴

საფრანგეთში მოქმედებს დღგ-ის ოთხი განაკვეთი. სტანდარტული განაკვეთი არის 19,6%, მაღალი - 22%-იანი განაკვეთი გამოიყენება ცალკეული სახეობის საქონლის მიმართ: ავტომობილები, კინოფოტოსაქონელი, ალკოჰოლიანი სასმელები, თამბაქოს ნაწარმი, პარფიუმერია, ფუფუნების ცალკეული საგნები, ძვირფასი ბეჭეული და სხვა. უახლოეს პერიოდამდე მაღალი განაკვეთი შეადგენდა 33,33%. დაბალი 7%-იანი განაკვეთი დაწესებულია წიგნებზე და ჟურნალ-გაზეთებზე. ყველაზე დაბალი - 5,5%-იანი განაკვეთი გამოიყენება პირველადი მოხმარების საქონელსა და მომსახურებისათვის.⁵

საწარმო კორპორაციული გადასახადის განაკვეთი დამოკიდებულია მიღებული მოგების გამოყენების მიმართულებაზე. თუ მოგება გამოიყენება წარმოების განვითარებისათვის, მაშინ გადასახადის განაკვეთი 39%-ია, ხოლო, თუ შემოსავალი მიიმართება დივიდენდების გაცემისათვის მაშინ 42%-ია. 2017 წლის საფრანგეთის კორპორაციული გადასახადის განაკვეთი იყო დასაბეგრი შემოსავლის 15% 38,120 ევროს ჩათვლით, 28% - 75,000 ევრომდე, 75,000 ევროს ზემოთ - 33,3% იყო. 2020 წელს პრეზიდენტმა მაკრონმა შეამცირა კაპიტალის მოგების გადასახადი, საფრანგეთში ბიზნესის ინვესტიციების მოსაზიდად და დაზიანებული ურთიერთობების აღდგენის მიზნით, რომლებიც გამოწვეულია კორპორატიული გადასახადების გაზრდით. ყველა კომპანიის დასაბეგრი შემოსავალი დაიბეგრება 28% -ით, 2022 ფინანსური წლისთვის ის ეტაპობრივად შემცირდება 25% -მდე. თუმცა თუ ფირმის მოგება 3 მილიარდ ევროზე მეტია, ეს მაჩვენებელი 43.3% -ს უტოლდება. უზრუნველყოფს დიდ კომპანიებს საგადასახადო შეღავათებით და სტარტაპერებს ფინანსური დახმარებით, რაც მიმზიდველ ადგილს წარმოადგენს საერთაშორისო ბიზნესის წარმოებისთვის.

⁴ ბახტაძე და სხვ. 2007, გვ. 416

⁵ Business Times, 2011

აზერბაიჯანი - საწარმოთა მოგება იბეგრება 20%-იანი განაკვეთით. მოგების გადასახადთან ერთად იურიდიული პირები იხდიან გადასახადებს დივიდენდებზე, საწარმოთა აქციების ან ფასიანი ქაღალდებიდან მიღებულ პროცენტებზე. დივიდენდებზე განაკვეთი 10%-ია, ფასიან ქაღალდებზე 25% (ჩიხლაძე, 2004, გვ. 72). დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელები არიან ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებიც რეგისტრირებული არიან დღგ-ის გადამხდელებად ან ვალდებულნი არიან გატარდნენ რეგისტრაციაში. დღგ-ის განაკვეთი შეადგენს 18%. საქონლისა და მომსახურების, ისევე როგორც სხვა მომსახურების ექსპორტი (მაგალითად, საერთაშორისო და სატრანზიტო ტვირთისა და სამგზავრო ტრანსპორტი) ნულოვანია. ასევე გადასახადისგან არის თავისუფალი შემდეგი ბიზნეს სექტორი: ფინანსური მომსახურების მიწოდება; ყველა სახის მასმედიის პროდუქციის რეალიზაცია ან შექმნა და მასმედიის პროდუქციის გამოცემა (სარეკლამო საქმიანობის ჩათვლით). უცხოური კომპანიები იბეგრება აზერბაიჯანში მიღებული შემოსავლიდან. მიუხედავად დაბალი საპროცენტო განაკვეთებისა, 2017 წელს მსოფლიო ბანკის რეიტინგში აზერბაიჯანი, საგარეო ვაჭრობის სიმარტივის კუთხით, 190 ქვეყანას შორის 184 პოზიციას იკავებდა. არც ისე კარგი პოზიციები აიხსნება იმით რომ, ექსპორტსა და იმპორტთან დაკავშირებულ დროსა და მაღალ გადასახადებთან. კომპანიები აწყდებიან ბევრ ბარიერს ვაჭრობისას, მათ შორის ტრანსპორტირების მაღალ გადასახადებს; მაღალ ტარიფებს, კორუფციას და ბიუროკრატias, დამატებით ხარჯებს ნებართვებისა და სტანდარტიზაციის პროცესში.

უკრაინა - უკრაინაში ძირითად საერთო-სახელმწიფოებრივ გადასახადებს მიეკუთვნება შემდეგი გადასახადები: მოქალაქეთა საშემოსავლო გადასახადი, საწარმოთა მოგების გადასახადი, დამატებული ღირებულების გადასახადი, აქციის გადასახადი, სამეწარმეო საქმიანობისათვის გადასახადი, ფიქსირებული სასოფლო-სამეურნეო გადასახადი, სოციალური უზრუნველყოფის გადასახადი, ბუნებრივი

რესურსებით სარგებლობის გადასახადი, სატრანსპორტო საშუალებების მფლობელთა გადასახადი.⁶

მოგების გადასახადის განაკვეთი უკრაინაში შეადგენს 18%. დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელები არიან იურიდიული და მეწარმე ფიზიკური პირები, რომლებიც ახორციელებენ საქონლის რეალიზაციასთან დაკავშირებულ ოპერაციებს, ბარტერულ ოპერაციებს და რეალიზებული საქონლის წლიური მოცულობა აღემატება 62 ათას გრივნას.

დღგ-გან თავისუფლდება საბანკო ოპერაციები, დაზღვევის და გადაზღვევის მომსახურება, იურიდიული პირის საწესდებო ფონდში ძირითადი ფონდების შეტანა, სამამულო წარმოების ბავშვთა კვების პროდუქტების, სამკურნალო საშუალებების, წიგნების და ა.შ.

ნულოვანი განაკვეთით, საქონლის ექსპორტის გარდა, იბეგრება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელი საწარმოების მიერ რძისა და ხორცის მიწოდება. გადასახადის სტანდარტული განაკვეთი 20%-ია. თუმცა ქვეყანაში მაღალია კორუფციის დონე, რაც დიდ დაბრკოლებას წარმოადგენს იმისთვის რომ უცხოურმა კომპანიებმა აწარმოონ ბიზნესი.

⁶ Лыкова и Букина, 2015, გვ.113

2. საქართველოს საგადასახადო გარემო, საგადასახადო სისტემა და ადმინისტრაცია

2.1 საქართველოს საგადასახადო გარემოს მიმოხილვა, მისი გავლენა ბიზნეს და საინვეტიციო გარემოს ფორმირებაში.

საქართველომ გაატარა ფართო ეკონომიკური რეფორმები. 2003 წელს თითქმის ჩავარდნილი მდგომარეობიდან გადაინაცვლა შედარებით კარგად ფუნქციონირებად საბაზრო ეკონომიკისკენ 2016 წელს. პოლიციისა და ინსტიტუციური რეფორმების მეშვეობით, მთავრობამ ძირითადად აღმოფხვრა დაბალი დონის კორუფცია. 190 ქვეყანას შორის საქართველომ ბიზნესის მარტივად კეთების რეიტინგში მე - 9 პოზიციიდან მე - 6 პოზიციზე გადაინაცვლა. მსოფლიო ბანკის Doing Business 2019-ის უახლესმა მონაცემებმა აჩვენა, რომ საქართველოს ქულა გაუმჯობესდა 1,24 პუნქტით და მიაღწია 83,28 პუნქტს.

თუმცა არსებობს პრობლემები: სასამართლო დამოუკიდებლობის არარსებობა, მუნიციპალურ დონეზე გადაწყვეტილების მიღების არაეფექტური პროცესები, ინტელექტუალური საკუთრების უფლებების განხორციელების დროდადრო ხარვეზები, ანტიმონოპოლური ეფექტური პოლიტიკის არარსებობა, ეკონომიკური კანონმდებლობის შერჩევითი აღსრულება და გადაჭრის სირთულეები, დავა საკუთრების უფლებებზე. საქართველოს მთავრობა აგრძელებს მუშაობას ამ საკითხების გადასაჭრელად და მიუხედავად ამ გამოწვევებისა, საქართველო ბევრად უსწრებს პოსტსაბჭოთა ქვეყნებს ბიზნესისთვის კარგი გარემოს შექმნის თვალსაზრისით.

საქართველოში ბიზნესის დარეგისტრირების პროცესი სწრაფი და გამარტივებულია და მსოფლიო ბანკის Doing Business- ის ანგარიშში ქვეყნების ჩამონათვალს სათავეში უდგას ამ კონკრეტული კომპონენტის გათვალისწინებით. ბიზნესის დარეგისტრირების პროცესს მხოლოდ ერთი დღე სჭირდება.

კომპანიების რეგისტრაციას ახორციელებს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო (NAPR) (www.napr.gov.ge). ვებ – გვერდზე (<http://www.psh.gov.ge/main/page/2/85>) აღწერილია ბიზნესის რეგისტრაციის პროცედურები და მოთხოვნები ინგლისურ ენაზე. რეგისტრაციის მიზნით, კანონი არ საჭიროებს საწესდებო კაპიტალის ოდენობის ან არსებობის დამადასტურებელ დოკუმენტს. კომპანიას არ მოეთხოვება ცალკე საგადასახადო რეგისტრაციის შევსება. თავდაპირველი რეგისტრაცია მოიცავს როგორც სახელმწიფო, ისე საგადასახადო რეგისტრაციას. საქართველოში ბიზნესის რეგისტრაციისთვის საჭიროა შემდეგი ინფორმაცია: დამფუძნებლისა და ძირითადი მესაკუთრეების პირადი ინფორმაცია, კომპანიის საქმიანობის სფერო, საჭირო დოკუმენტები დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ტიპის დაწესებულებაა. რეგისტრაციის საფასური მინიმალურია. კომპანიის შექმნის, რეგისტრაციის, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის წესები შეგიძლიათ იხილოთ მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონში, რომელიც ადგენს იმ საწარმოთა ამომწურავ ჩამონათვალს, რომელთა შექმნაც შესაძლებელია საქართველოში.

ლიცენზიებისა და ნებართვების რაოდენობა და მათი მიღების დრო საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე დაბალია ევროპაში. პროცედურები მშენებლობის ნებართვის მისაღებად შეიძლება დასრულდეს 40-60 დღის განმავლობაში. კომპანიებს, რომლებიც ეწევიან ისეთ საქმიანობებს, რომლებმაც შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს გარემოზე, ადამიანის სიცოცხლეზე და / ან ჯანმრთელობაზე, ვალდებული არიან მოამზადონ სავალდებულო გარემოზე ზემოქმედების შეფასება და წარუდგინონ იგი საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს. ინფორმაცია საქართველოში მოქმედი ყველა ლიცენზიის და ნებართვის, მათი გაცემის წესის, გამცემი ორგანოებისა და ლიცენზიების / სანებართვო მოსაკრებლების ოდენობის შესახებ მოცემულია დოკუმენტში „ლიცენზიებისა და ნებართვების სახელმძღვანელო“.

სახელმწიფო ქონების პრივატიზებასთან და სახელმწიფო საკუთრებაში მყოფ კომპანიებთან დაკავშირებული უფლებები სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს პრეროგატივაა. "სახელმძღვანელო პრივატიზაციის შესახებ" ეხება პრივატიზაციის პროცესის მარეგულირებელ საკანონმდებლო ჩარჩოს. კანონი სახელმწიფო ქონების შესახებ და კანონი მუნიციპალური საკუთრების შესახებ არის ძირითადი აქტები, რომლებიც განსაზღვრავს პრივატიზაციის წესებსა და პროცედურებს.

2005 წელს საქართველომ შემოიღო ახალი საგადასახადო კოდექსი, რომელმაც რადიკალური ცვლილებები შეიტანა საგადასახადო სისტემაში. შემოღებულ იქნა დაბალი გადასახადი და შემცირდა გადასახადების რაოდენობა. 2004 წელს მოქმედებდა 21 გადასახადი, 2005 წელს კი - მხოლოდ 6.

2010 წელს ამოქმედდა კიდევ ერთი ახალი საგადასახადო კოდექსი, რომელიც ძალაში შევიდა 2011 წლის 1 იანვრიდან. ახალ კოდექსში გაერთიანდა საგადასახადო და საბაჟო წესები. კოდექსის ამოქმედების შემდეგ:

- გამარტივდა გადასახადები. მაგალითად, მიკრო და მცირე მეწარმეობის ცნებები შემოიღეს. მეწარმე ფიზიკურ პირს, რომლის წლიური ბრუნვა 30 000 ლარს არ აღემატება და იგი ეკონომიკურ საქმიანობაში დაქირავებულ ფიზიკურ პირთა შრომას არ იყენებს, მიკრო ბიზნესის სტატუსი ენიჭება და მას ფაქტობრივად არანაირი გადასახადების გადახდა არ უწევს, ხოლო იმ მეწარმე ფიზიკურ პირებს, რომელთა წლიური ბრუნვა 100 000 ლარამდეა, მათ, სურვილის შემთხვევაში, შესაძლოა მიენიჭოთ მცირე ბიზნესის სტატუსი, რომლის მიღების შემთხვევაში აღნიშნული სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკური პირი ბრუნვიდან 3%-ს გადაიხდის თუ, მის მიერ ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების 60%-ზე მას ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტები გააჩნია (გარდა დაქირავებულ ფიზიკურ პირებზე გაცემული ხელფასისა), ხოლო სხვა შემთხვევაში მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკურ პირს ბრუნვიდან 5%-ის გადახდა უწევს.


- საგადასახადო სისტემისადმი ნდობა გაიზარდა სტაბილური და მდგრადი საგადასახადო გარემოს ფორმირებით, საგადასახადო კოდექსის ენის გამარტივებით და ბუნდოვანი საკითხების ამოღებით. მაგალითისთვის, გადასახადის გადამხდელებს, რომლებსაც სჯერათ, რომ მათი უფლებები დაირღვა, შეუძლიათ საჩივარი შეიტანონ ბიზნესის ომბუდსმენტთან. ახალ კოდექსში ასევე გაკეთდა ძალისხმევა ადმინისტრაციული გასაჩივრების პროცესის მთლიანობის გასაუმჯობესებლად.
- საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკასა და ევროკავშირის დირექტივებს.

2019 წლის სექტემბრიდან შემოღებულ იქნა ახალი საბაჟო კოდექსი, რომელიც არეგულირებდა ყველა საკითხს, რომლებიც დაკავშირებულია საქართველოს საბაჟო საზღვარზე მგზავრთა, საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილებასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებთან, საბაჟო გადასახდელების გადახდის ოდენობასა და ადმინისტრაციულ პირობებთან დაკავშირებით.

ქვეყანაში მოქმედი საგადასახადო სისტემა ემსახურება, ერთის მხრივ, ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ფორმირებას, ხოლო, მეორეს მხრივ, კი იგი კატალიზატორი და სტიმულატორია ქვეყანაში ეკონომიკური, სოციალური საინვესტიციო მდგომარეობის წინსვლისა და განმტკიცების თვალსაზრისით. ქვეყანაში არსებული საგადასახადო პოლიტიკის მიზანია კერძო სექტორისა და უცხოური ინვესტიციებისათვის, ბიზნესის დაწყებისა და განვითარებისათვის, მიმზიდველი და ხელსაყრელი საგადასახადო გარემოს შექმნა.

სტაბილური პოლიტიკური გარემო, ლიბერალური და თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა, კონკურენტუნარიანი სამუშაო ძალა, 6 სახის გადასახადი, შეღავათიანი სავაჭრო რეჟიმები და განვითარებული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა ქვეყანას უცხოური ინვესტიციების მიმზიდველ მიმართულებად აქცევს.

ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპების მიღწევაში არსებით როლს ინვესტიციები ასრულებს. ინვესტირების მაღალი მოცულობის მიღწევა, როგორც შიდა, ასევე უცხოური პირდაპირი ინვესტიციების კუთხით, საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი პრიორიტეტია (საქ.მთავრობა, 2018).



2005 წლიდან საქართველოში სახეზე გვაქვს ერთის მხრივ საგადასახადო ადმინისტრირების გაუმჯობესება, საგადასახადო პოლიტიკის ლიბერალიზაცია, რომლის მნიშვნელოვანი მიზანი იყო ლიბერალური საინვესტიციო გარემოს მხარდაჭერა. ამ მიზნით საქართველოს საგადასახადო კოდექსი უცხოელ და ადგილობრივ ინვესტორებს მნიშვნელოვან შეღავათებს თავაზობდა⁷ ხოლო მეორეს მხრივ, ამ პერიოდიდან მოყოლებული ფიქსირდება ინვესტიციების მოცულობის ზრდა 2018 წლამდე. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიმართ ლიბერალური პოლიტიკის კიდევ ერთი დამატებითი ინსტრუმენტია „ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ“ შეთანხმებები რომლებიც დადებულია ქვეყნის ძირითად სავაჭრო და ეკონომიკურ პარტნიორ ქვეყნებთან. მისი მთავარი მიზანია ხელი შეუწყოს

⁷ კვარაცხელია, 2007, გვ. 107

ქვეყნებს შორის ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავებასა და ინვესტიციების მოზიდვას. საქართველოს მიერ გაფორმებულ შეთანხმებათა ტექსტები ეფუძნება ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მოდელს და განსაზღვრავს ქვეყნებს შორის დაბეგვრის პრინციპებს. კერძოდ, იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ მეორე ქვეყანაში გაწეული საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი დაიბეგრება იმ ქვეყანაში, სადაც ის იქნა მიღებული ან რეზიდენტობის ქვეყანაში. შემოსავლის წყაროს ქვეყანაში დაბეგვრის შემთხვევაში, ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების მიზნით რეზიდენტი ქვეყანა იღებს ვალდებულებას, გადასახადის გადამხდელს ჩაუთვალოს წყაროს ქვეყანაში გადახდილი გადასახადი. შეთანხმების მთავარი მიზანია ასევე გადასახადების გადაუხდელობისაგან თავის არიდება, რაც მიიღწევა საგადასახადო მიზნებისთვის ინფორმაციის გაცვლის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვით. ამჟამად, „ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და გადასახადების გადაუხდელობის აღკვეთის შესახებ შეთანხმება“ ძალაშია 56 ქვეყანასთან.⁸

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში გატარებული ღონისძიებების შედეგად გამარტივდა საგადასახადო კანონმდებლობა და შემცირდა გადასახადების განაკვეთები, საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა მომავალშიც აუცილებელია. ამასთან, საჭიროა როგორც საზოგადოების, ასევე პოტენციური ინვესტორების სისტემატური ინფორმირება საგადასახადო პოლიტიკაში დაგეგმილი რეფორმების შესახებ, რაც ქვეყანაში ინვესტიციების შემოდინებას და ეკონომიკის განვითარებას შეუწყობს ხელს. საქართველო ღიაა უცხოური ინვესტიციების მისაღებად და საქართველოს ეროვნული ინვესტიციების სააგენტო (www.investingeorgia.org) ახორციელებს მარკეტინგულ კამპანიას, რათა ხელი შეუწყოს უფრო მეტი უცხოელი ინვესტორის საქართველოში ჩამოსვლას. კანონმდებლობით დადგენილია უცხოური ინვესტიციებისთვის ხელსაყრელი პირობები, თუმცა ეს არ გულისხმობს მათთვის ადგილობრივ ბიზნესთან შედრებით შეღავათიანი

⁸ საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №633, 2011 წლის 28 დეკემბერი

პირობების დაწესებას. დღეს საქართველოს აქვს ხელსაყრელი საინვესტიციო გარემო. მას აქვს ლიბერალური და თავისუფალ ბაზარზე ორიენტირებული ეკონომიკური პოლიტიკა. საქართველოს ლიბერალური სავაჭრო რეჟიმები აძლევს ინვესტორებს ხელსაყრელ შესაძლებლობას, არა მხოლოდ საბაჟო და საიმპორტო ტარიფების არარსებობის გამო, არა მხოლოდ ქვეყნის 3.7 მილიონიანი მაცხოვრებლის, არამედ უფრო ფართო რეგიონის ბაზრებზე შესასვლელად. 2.3 მილიარდი სამომხმარებლო ბაზარზე შესვლის გარანტიას იძლევა ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება. ასევე, საქართველომ ხელი მოაწერა სავაჭრო ხელშეკრულებებს დსთ-ს ქვეყნებთან, რომლებიც მოიცავს უკრაინას, ბელორუსს, მოლდოვას, ყაზახეთს, ყირგიზეთს, ტაჯიკეთს, უზბეკეთს და თურქმენეთს, აგრეთვე მის მეზობლებს, თურქეთს, აზერბაიჯანს და სომხეთს.

საქართველოს ასევე აქვს თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება ჩინეთის რესპუბლიკასთან (ჰონგ კონგის ჩათვლით).

გარდა ამისა, საქართველო 2000 წლიდან არის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის) წევრი.

უცხოურ კომპანიებს შეუძლიათ თავიათი პროდუქტი თუ მომსახურება გაყიდონ არა მხოლოდ რეგიონალური ბაზარზე, არამედ ევროპული ბაზარსა და აზიის უფრო ფართო ბაზრებზე.

საქართველოს 32 ქვეყანასთან აქვს ორმხრივი შეთანხმებები ინვესტიციების წახალისებისა და ორმხრივი დაცვის შესახებ, მათ შორისაა: აშშ, სომხეთი, ავსტრია, აზერბაიჯანი, ბელგია, ბულგარეთი, ჩინეთი, ჩეხეთი, ესტონეთი, ეგვიპტე, ფინეთი, საფრანგეთი, გერმანია, საბერძნეთი, ირანი, ისრაელი, იტალია, ყაზახეთი, ყირგიზეთი, ქუვეითი, ლატვია, ლიტვა, ლუქსემბურგი, მოლდოვა, ნიდერლანდები, რუმინეთი, შვედეთი, თურქეთი, თურქმენეთი, უზბეკეთი, დიდი ბრიტანეთი და უკრაინა. მოლაპარაკებები მიმდინარეობს 24 ქვეყნის მთავრობებთან.

საზღვრის კონტროლის თვალსაზრისით, საქართველოში ყველა უცხოელი მოგზაური სარგებლობს მეტად ხელმისაწვდომი და მომსახურებაზე ორიენტირებული საბაჟო პოლიტიკითა და ადმინისტრაციული ოქმით. თითქმის არ არსებობს საბაჟო გადასახადი, საქონლის 90% თავისუფლდება იმპორტის ტარიფებისაგან, რაოდენობრივი შეზღუდვების გარეშე. განბაჟების საშუალო დრო ამჟამად დაახლოებით 15 წუთია - ერთ - ერთი ყველაზე სწრაფი და ეფექტური დსთ - ში.

შრომის ბაზარი ხასიათდება განათლებული, გამოცდილი და კონკურენტუნარიანი სამუშაო ძალით, პირადი შემოსავალი ექვემდებარება დაბალი განაკვეთით დაბეგვრას - 20% და საპენსიო შენატანები - 2% გადახდილი დამსაქმებლის მიერ, 2% გადახდილია დასაქმებულის მიერ, 2% გადახდილი მთავრობის მიერ. მხოლოდ 6 სახეობის გადასახადით და ასევე მნიშვნელოვნად შემცირდა ლიცენზიების რაოდენობა და ნებართვები, აქვს კარგად განვითარებული, ინტეგრირებული და მულტიმოდალური სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა, ელექტროგადამცემი ხაზები, გაზსადენები, და ინტერნეტი ხელმისაწვდომია ქვეყნის თითქმის ნებისმიერ ნაწილში.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, 2014 წელს ხელი მოეწერა ასოცირების ხელშეკრულებას ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DCFTA) ჩათვლით საქართველოსა და ევროკავშირს შორის. ასოცირების ხელშეკრულების თანახმად, საქართველოს კანონმდებლობა ჰარმონიზდება და ინტეგრირდება ევროკავშირის კანონმდებლობასთან, შესაბამისად, მიმდინარეობს აქტიური პროცესი საქართველოს რეგულაციების ევროკავშირის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანაში. საბოლოო ჯამში, ამ პროცესის შედეგად საქართველო გახდება ევროკავშირის საერთო ბაზრის განუყოფელი ნაწილი.

მიიჩნევა საუკეთესო საინვესტიციო ადგილებად მსოფლიო რუკაზე, რასაც ადასტურებს სხვადასხვა კარგად აღიარებული საერთაშორისო რეიტინგი, სადაც

საქართველო ინარჩუნებს ძლიერ პოზიციებს. მაგალითად, საქართველო მსოფლიოში მე -7 ადგილზეა 2020 წლის „ბიზნესის კეთების სიმარტივის ინდექსი“.

ერთ- ერთი უმთავრესი მიმზიდველი მიზეზი საერთაშორისო კომპანიებისთვის, რომ აწარმოონ თავიანთი ბიზნესი საქარველოში არის მიმზიდველი საგადასახადო გარემო, რასაც განაპირობებს დაბალი საგადასახადო განაკვეთები და გამჭვირვალე საგადასახადო სისტემა. საქართველო მსოფლიოში ყველაზე ნაკლებად გადასახადებით დატვირთული ქვეყანაა (მსოფლიო ბანკი). რეინვესტირებული მოგება თავისუფალია მოგების გადასახადისგან. კომპანიები მოგების გადასახადს იხდიან მხოლოდ განაწილებულ მოგებაზე (განაწილებული მოგება არის მოგება, რომელიც საწარმოს მიერ მის პარტნიორზე დივიდენდის სახით, ფულადი ან არაფულადი ფორმით ნაწილდება). საქონლის 80% უფასოა საქართველოში იმპორტის ტარიფიდან. გარდა ამისა, საქართველოს აქვს 4 უფასო ინდუსტრიული ზონა (FIZ) ფოთში, ქუთაისში და თბილისში. ამ ინდუსტრიაში რეგისტრირებული ბიზნესი თავისუფლდება ყველა გადასახადისგან, გარდა პირადი საშემოსავლო გადასახადისა (20%), რომელიც გადაიხდება თანამშრომლების ხელფასიდან.

ასევე საქართველოში ოფშორების საკითხი საკმაოდ აქტუალურია. ოფშორული კომპანიებიდან საკმაოდ მნიშვნელოვანი თანხა შემოდის. ოფშორი (Off Shore), რომელსაც „საგადასახადო სამოთხესაც“ უწოდებენ, არის ქვეყანა ან ქვეყნის კონკრეტული ტერიტორია, სადაც კომპანიები განსაკუთრებული შეღავათიანი პირობებით სარგებლობენ. ასეთი პირობები შეიძლება იყოს: დაბალი გადასახადები, კომპანიის მფლობელის კონფიდენციალურობა, ფინანსური ანგარიშგების მარტივი წესები, კომპანიის რეგისტრაციის და ოპერაციების განხორციელების სიმარტივე. ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ოფშორში კომპანიის რეგისტრაციისთვის არ არის აუცილებელი ამ ქვეყნის რეზიდენტი იყო, ან რეგისტრირებული ოფისი (ბიზნეს წარმომადგენლობა) გქონდეს, ამის გარეშეც შეიძლება ოფშორული ქვეყნის წესებით და გადასახადებით ისარგებლო.


საქართველოში ოფშორების საკითხი საკმაოდ აქტუალურია. ოფშორული კომპანიებიდან საკმაოდ მნიშვნელოვანი თანხა შემოდის, როგორც კერძო პროექტებში, ისე სახელმწიფოს დაფინანსებულ პროექტებში. ინვესტირების და პროექტების შესრულებაში მონაწილეობის სანაცვლოდ ოფშორული კომპანიები საქართველოდან შემოსავალს იღებენ. ოფშორის სპეციფიკიდან გამომდინარე კირთული ან შეუძლებელია გავარკვიოთ, თუ ვინ არიან ასეთი კომპანიების შემოსავლების რეალური მიმღებები, ვინ დგას ოფშორიდან შემოსული ფულის უკან და რატომ არჩია ოფშორებს „ამოეფაროს“, ნაცვლად იმისა, რომ ღიად და გამჭვირვალედ იყოს ჩართული ეკონომიკურ საქმიანობაში.

საქართველოში დღეს დაახლოებით 3,200-მდე კომპანიაა დარეგისტრირებული, რომელთა სრული ან გარკვეული წილის მფლობელი ოფშორული კომპანიაა. 1,000-მდე კომპანია დიდ ბრიტანეთში შემაჯალ ოფშორებშია რეგისტრირებული, ვირჯინიის კუნძულებზე დაახლოებით 250 კომპანიაა, კვიპროსზე - 280, პანამაში - 74, სეიშელის კუნძულებზე - 63, ამერიკის სამოაში - 80, ბაჰამის კუნძულებზე 12 და ა.შ. კომპანიის ოფშორში რეგისტრაციის მთავარი მოტივატორი საგადასახადო შეღავათებია. ეს ეხება კორპორატიულ გადასახადებს: მოგებაზე, დივიდენდზე და შემოსავალზე დაწესებულ გადასახადებს. რადგან განვითარებულ ქვეყნებში ძირითადად მაღალი გადასახადებია, კაპიტალის მოცულობა კი ტრილიონობით დოლარია, ფინანსების ნაწილი ოფშორებში მიედინება. საქართველოს ფინანსთა მინისტრმა ივანე მაჭავარიანმა პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე კომენტარის გაკეთების დროს განაცხადა: „რომ იცოდეთ, სხვადასხვა შეფასებით, საქართველოს ისტორიის განმავლობაში ყოველწლიურად, რომ შემოდიოდა უცხოური ინვესტიციები, 60-70% სინამდვილეში თავისი ბუნებით ქართული, ადგილობრივი ინვესტიციებია, გატანილია აქედან და შემოტანილია სხვადასხვა ქვეყნიდან ან ოფშორიდან“.

ოფიციალური სტატისტიკით, 2010-2018 წლებში ოფშორული ტერიტორიების მქონე ქვეყნებიდან საქართველოში 5 მლრდ დოლარამდე პირდაპირი უცხოური

ინვესტიცია შემოვიდა, რაც ამ პერიოდის მთლიანი ინვესტიციების 38%-ია. ყველაზე მეტი ნიდერლანდებიდან და გაერთიანებული სამეფოდან შემოვიდა, ჯამში 3 მლრდ დოლარი. ნიდერლანდებიდან და გაერთიანებული სამეფოდან შემოსული ინვესტიციები სრულად ოფშორული სტატუსის მქონე კომპანიებს არ მიეკუთვნება, თუმცა, რთულია გამიჯვნა, რამდენია არაოფშორული ინვესტიცია. ცალსახად ოფშორული ტერიტორიებიდან პანამა ლიდერობს 300 მლნ დოლარით, შემდეგ მოდიან მალტა 239 მლნ დოლარით, ვირჯინიის კუნძულები - 96 მლნ დოლარით, ბელიზი - 64 მლნ დოლარით და ა.შ.

მაგალითად, წყალმომარაგების კომპანიის „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ (GWP), რომელიც თბილისსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრებ 400 000 აბონენტს, კომპანიის მესაკუთრის ვინაობა დღესაც უცნობია, რადგან მისი ახლანდელი მფლობელი „ჯორჯიან გლობალ იუთილითიზ“ ოფშორში დარეგისტრირებული კომპანიაა.⁹



⁹ საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო

¹⁰ მონაცემების წყარო: საქსტატი

2.2 საქართველოს საგადასახადო სისტემა და მისი გავლენა

საერთაშორისო კომპანიების საქმიანობაზე

საქართველოში დაწესებულია გადასახადის ექვსი სახეობა: მოგების გადასახადი , დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ), ქონების გადასახადი, საშემოსავლო გადასახადი, აქციზი და დივიდენდი.

დაბეგვრის ფორმიდან (აკრეფის საშუალებიდან) გამომდინარე შესაძლებელია გამოვყოთ:

- პირდაპირი (საშემოსავლო-ქონებრივი) გადასახადები;
- არაპირდაპირი (მოხმარების) გადასახადები;

პირდაპირი გადასახადები - ეს სავალდებულო შენატანებია, რომელსაც იხდის მწარმოებელი ან მესაკუთრე მატერიალური სიკეთის დაგროვების პროცესში, განსაზღვრული დაბეგვრის ობიექტის მოცულობის მიხედვით . პირდაპირი გადასახადები იყოფა:

- პირადი გადასახადები - ეს არის სავალდებულო შენატანები, რომელსაც იხდის გადასახადის გადამხდელი მიღებული შემოსავლის (მოგების) ხარჯზე და მიღებული შემოსავლიდან (მოგებიდან) გამომდინარე.
- რეალური გადასახადები - ეს სავალდებულო შენატანებია, რომელსაც იხდის გადასახადის გადამხდელი საკუთრებაში არსებული კანონით განსაზღვრული ქონებიდან და რომლის საფუძველსაც არა რეალური, არამედ მხოლოდ მოსალოდნელი სავარაუდო საშუალო შემოსავალი წარმოადგენს. რეალური გადასახადებით იბეგრება გადასახადის გადამხდელის სავარაუდო საშუალო შემოსავალი, რომელიც მოსალოდნელია მიღებული იქნეს ამ ეკონომიკურ პირობებში ამა თუ იმ გადასახადით დასაბეგრი საგნიდან (უძრავი ქონებიდან, ფულადი კაპიტალიდან და ა.შ.).

არაპირდაპირი (მოხმარების) გადასახადი არის გადასახადი (დამატებული ღირებულების გადასახადი, აქციზი, იმპორტის გადასახადი), რომელიც დგინდება მიწოდებული (იმპორტირებული) საქონლის ან/და გაწეული მომსახურების ფასზე

დანამატის სახით და რომელსაც იხდის მომხმარებელი (იმპორტიორი) ამ გადასახადით გაზრდილი ფასით საქონლის ან/და მომსახურების შეძენისას (იმპორტისას). არაპირდაპირი გადასახადები იყოფა:

- ინდივიდუალური გადასახადები - იბეგრება მკაცრად განსაზღვრული საქონლის ჯგუფი (აქციზები საქონლის ცალკეულ ჯგუფებზე და სახეებზე)
- უნივერსალური გადასახადები - იბეგრება ყველა სახის საქონელი და მომსახურება, გარდა განთავისუფლებულისა.

მმართველობის დონის მიხედვით, საქართველოში მოქმედი გადასახადები იყოფა :

- საერთო-სახელმწიფოებრივი;
- ადგილობრივი;

საერთო-სახელმწიფოებრივი - საქართველოს საგადასახადო კოდექსით დაწესებული გადასახადები, რომელთა გადახდაც სავალდებულოა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. საშემოსავლო გადასახადი, მოგების გადასახადი, დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ), აქციზი, იმპორტის გადასახადი.

მოგების გადასახადი 15 პროცენტია. მოგების ყოველთვიური გადასახადი ვრცელდება, რეზიდენტ საწარმოზე და არარეზიდენტ საწარმოზე, რომელიც საქართველოში საქმიანობს მუდმივი დაწესებულების მეშვეობით.

დამატებული ღირებულების გადასახადი: არაპირდაპირი გადასახადი, რომელიც წარმოადგენს მიწოდებული (იმპორტირებული) საქონლის ან/და გაწეული მომსახურების ფასზე დანამატს და რომელსაც იხდის მომხმარებელი (იმპორტიორი) ამ გადასახადით გაზრდილი ფასით საქონლის ან/და მომსახურების შეძენისას (იმპორტისას), თუმცა ბიუჯეტში გადახდის ვალდებულება ეკისრება საქონლის მიმწოდებელს (იმპორტიორს) ან/და მომსახურების გამწევს, რომელიც იწოდება დღგ-ის გადამხდელად. დასაბეგრი ბრუნვის ან საქონლის იმპორტის თანხის 18 % , გადასახადი პირად შემოსავალზე 20 პროცენტი.

აქციზის გადასახადი მოქმედებს სიგარეტზე, ალკოჰოლზე, საწვავზე და მობილურ ტელეკომუნიკაციებზე. საქონლის უმეტესობას, გარდა ზოგიერთი სოფლის

მეურნეობის პროდუქტისა, არ აქვს იმპორტის ტარიფი. საქონლის ტარიფებით, ტარიფები 5 ან 12 პროცენტია, თუ არ არის გათვალისწინებული FTA(Free trade agreement).

დივიდენდის საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი 5 პროცენტია.¹¹

ადგილობრივი - საქართველოს საგადასახადო კოდექსით დაწესებული და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს ნორმატიული აქტით შემოღებული გადასახადი (ზღვრული განაკვეთების ფარგლებში), რომლის გადახდაც სავალდებულოა შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე. დგილობრივი გადასახადია: ქონების გადასახადი.

დანიშნულების ხასიათიდან გამომდინარე :

- საერთო დანიშნულების (აბსტრაქტული) გადასახადები - საერთო მიზნებს ხმარდება. ამ შემთხვევაში არ ხდება იმ ღონისძიებების ან დანახარჯების კონკრეტიზაცია, რისთვისაც ისინი იხარჯება.
- მიზნობრივი გადასახადები - განკუთვნილია კონკრეტულად განსაზღვრული ღონისძიებების დასაფინანსებლად.

გადახდის პერიოდულობიდან გამომდინარე:

- ერთჯერადი გადასახადები - მაგალითად, გადასახადი მემკვიდრეობისა და ჩუქებისათვის
- რეგულარული გადასახადები - საშემოსავლო გადასახადის და ქონების გადასახადის გადახდა წარმოებს ყოველწლიურად, დამატებული ღირებულების გადასახადის – ყოველთვიურად.


დაბეგვრის ობიექტიდან გამომდინარე:

- ქონებივი გადასახადები - საწარმოთა ქონების გადასახადი, ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადი, მიწის გადასახადი.
- საშემოსავლო (მოგების) გადასახადები - საქართველოში ფიზიკური პირები იხდიან საშემოსავლო გადასახადს, ხოლო საწარმოები და ორგანიზაციები -

¹¹ შემოსავლების სამსახური

მოგების გადასახადს. მნიშვნელოვანი თავისებურებებით ხასიათდება შემოსავლის ისეთი სახეების დაბეგვრა, როგორებიცაა პროცენტები, დივიდენდები, სხვადასხვა სახის მოგებები და პრიზები, მატერიალური სარგებელი, ნატურალური ფორმით მიღებული შემოსავლები და სხვა

- ცალკეული ოპერაციების განხორციელებასთან დაკავშირებული გადასახადები - დამატებული ღირებულების გადასახადი, აქციზი.¹²



¹² ზვიად როგავა, საგადასახადო სამართალი (დამხმარე სახელმძღვანელო) წიგნი პირველი, გამომცემლობა: იურისტების სამყარო, 2018

საერთო-სახელმწიფოებრივ გადასახადებს მიეკუთვნება:

- ✓ საშემოსავლო გადასახადი;
- ✓ მოგების გადასახადი;
- ✓ დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ);
- ✓ აქციზი;
- ✓ იმპორტის გადასახადი.

ადგილობრივ გადასახადს მიეკუთვნება

- ✓ ქონების გადასახადი.¹³

საშემოსავლო გადასახადის გადამხდელია:

ა) რეზიდენტი ფიზიკური პირი;

ბ) არარეზიდენტი ფიზიკური პირი, რომელიც შემოსავალს იღებს საქართველოში არსებული წყაროდან. დასაბეგრი შემოსავალი წარმოადგენს სხვაობას კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული შემოსავლისა და ხარჯების თანხებს შორის. რეზიდენტი ფიზიკური პირების მიერ მიღებული დასაბეგრი შემოსავლები, რომლებიც არ ექვემდებარება საქართველოში არსებულ გადახდის წყაროსთან დაბეგვრას, - იბეგრება 20 პროცენტით. გადახდის წყაროსთან დაბეგვრას დაქვემდებარებული შემოსავლები, იბეგრება:

ხელფასი -20 %

დივიდენდები – 5%

პროცენტები – 5 %

¹³ საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხლი 6.

არარეზიდენტი ფიზიკური პირი, საქართველოს წყაროდან მიღებულ შემოსავლებზე იბეგრება გადახდის წყაროსთან გამოქვითვების გარეშე შემდეგი განაკვეთით:
დივიდენდები – 5% ; პროცენტები – 5 %; საწარმოს, ორგანიზაციის ან/და მეწარმე ფიზიკური პირის მიერ საერთაშორისო კავშირგაბმულობის ტელესაკომუნიკაციო მომსახურებისათვის და საერთაშორისო გადაზიდვების სატრანსპორტო მომსახურებისათვის გადახდილი თანხები – 10 %; ნავთობისა და გაზის შესახებ— საქართველოს კანონით განსაზღვრული ნავთობისა და გაზის ოპერაციების განხორციელებისას არარეზიდენტი ქვეკონტრაქტორების მიერ მიღებული შემოსავალი – 4 %;
ფიზიკური პირისთვის გადახდილი საიჯარო მომსახურების თანხა – 20% ;
სხვა თანხები, რომლებიც ითვლება საქართველოში მიღებულ შემოსავლად –10%.
ხელფასის სახით მიღებული შემოსავალი – 20%.¹⁴

მოგების გადასახადის გადამხდელია:

ა) რეზიდენტი საწარმო;
ბ) არარეზიდენტი საწარმო, რომელიც საქართველოში საქმიანობას მუდმივი დაწესებულების მეშვეობით ახორციელებს ან/და შემოსავალს იღებს საქართველოში არსებული წყაროდან.

რეზიდენტი საწარმოს მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია:

ა) განაწილებული მოგება;
ბ) გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის;
გ) უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა;
დ) ამ კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.

¹⁴ საქართველოს საგადასახადო კოდექსი, კარი V, თავი XI, მუხლი 79.

ორგანიზაციის მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია სხვაობა კალენდარული წლის განმავლობაში მიღებულ ერთობლივ შემოსავალსა და ამ კოდექსით გათვალისწინებული გამოქვითვების თანხებს შორის.¹⁵

საწარმოს დასაბეგრი მოგება იბეგრება 15 პროცენტით. „ნავთობისა და გაზის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული,“ არსებული ხელშეკრულებების განხორციელების შედეგად ნავთობისა და გაზის ოპერაციებით მიღებული მოგება იბეგრება 10 %-ით , თუ ეს ხელშეკრულებები დადებულია 1998 წლის 1 იანვრამდე. არარეზიდენტი იურიდიული პირი საქართველოს წყაროდან მიღებულ შემოსავლებზე იბეგრება შემდეგი განაკვეთით: დივიდენდი – 5%; პროცენტი – 5%; საერთაშორისო კავშირგაბმულობის ტელესაკომუნიკაციო მომსახურებისათვის და საერთაშორისო გადაზიდვების სატრანსპორტო მომსახურებისათვის გადახდილი თანხები – 10 %; „ნავთობისა და გაზის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული ნავთობისა და გაზის ოპერაციების განხორციელებისას არარეზიდენტი ქვეკონტრაქტორების მიერ მიღებული შემოსავალი – 4 %; გადახდილი სხვა თანხები, რომლებიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით ითვლება საქართველოში არსებული წყაროდან მიღებულ შემოსავლად – 10%.

დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) გადამხდელად ითვლება:

- ✓ პირი, რომელიც რეგისტრირებულია დღგ-ის გადამხდელად;
- ✓ პირი, რომელიც ვალდებულია გატარდეს რეგისტრაციაში დღგ-ის გადამხდელად;
- ✓ პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის იმპორტს ან დროებით შემოტანას საქართველოში, მხოლოდ ამ იმპორტზე ან დროებით შემოტანაზე, რეგისტრაციის ვალდებულების გარეშე;
- ✓ არარეზიდენტი (გარდა საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირისა), რომელიც ეწევა მომსახურებას საქართველოში დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციისა და საქართველოში საგადასახადო აღრიცხვაზე მყოფი არარეზიდენტის მუდმივი

¹⁵ საქართველოს საგადასახადო კოდექსი, თავი XIII მუხლი 96.

დაწესებულების გარეშე, მხოლოდ ამ მომსახურებაზე და ექვემდებარება უკუდაბეგვრას;

- ✓ პირი, რომელიც სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიების ფარგლებში ახორციელებს მოთხოვნის უზრუნველყოფის საგნის (საქონლის) კრედიტორის საკუთრებაში გადაცემას მხოლოდ ამ ოპერაციაზე და ექვემდებარება უკუდაბეგვრას, რეგისტრაციის ვალდებულების გარეშე;

დღგ-ის განაკვეთი შეადგენს დასაბეგრი ბრუნვის 18 პროცენტს. დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული პირი ვალდებულია წარადგინოს დღგ-ის დეკლარაცია ყოველ საანგარიშო პერიოდზე არა უგვიანეს ამ პერიოდის მომდევნო თვის 15 რიცხვისა და ამავე ვადაში გადაიხადოს დღგ. დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული პირი ვალდებულია ყოველ საანგარიშო პერიოდზე არა უგვიანეს ამ პერიოდის მომდევნო თვის 15 რიცხვისა გადაიხადოს დღგ. დღგ-ის განაკვეთი შეადგენს საქონლის იმპორტის თანხის 18 პროცენტს;

საქონლის დროებითი შემოტანისას საქართველოს საგადასახადო კოდექსის 164-ე მუხლის „ა— ქვეპუნქტით გათვალისწინებული დროებითი შემოტანის თანხის 0.54 პროცენტს ამ საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ყოფნის ყოველ სრულ და არასრულ კალენდარულ თვეზე, მაგრამ არა უმეტეს საქონლის დროებითი შემოტანისას დროებითი შემოტანის თანხის 18 პროცენტისა.

პირი, რომელიც ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას და რომლის მიერ ნებისმიერი უწყვეტი 12 კალენდარული თვის განმავლობაში განხორციელებული, დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციების საერთო თანხა აღემატება 100 000 ლარს (გარდა ქვემოთ აღნიშნული შემთხვევისა), ვალდებულია დარეგისტრირდეს დღგ-ის გადამხდელად და იგი დღგ-ის გადამხდელად ითვლება იმ დასაბეგრი ოპერაციის

განხორციელების მომენტიდან (ამ ოპერაციის ჩათვლით), რომლის მიხედვითაც დასაბეგრი ოპერაციის საერთო თანხა გადააჭარბებს 100 000 ლარს. 2017 წლიდან

დღემდე საქართველოს დღგ-ს სისტემა უფრო მიუახლოვდა ევროკავშირის დღგ-ს სისტემას საქონლის მიწოდების / მომსახურების გაწევისას მიღებულ ავანსებზე დღგ-ს დაკისრების გზით.

იმპორტირებული საქონელი ექვემდებარება 18% დღგ-ს საბაჟო გაფორმების დროს. დასაბეგრი საფუძველია საქონლის საბაჟო ღირებულება, პარალელურად ნებისმიერი იმპორტის გადასახადი და აქციზის თანხა (ასეთის არსებობის შემთხვევაში). დღგ-ს გადახდა აუცილებელია განბაჟებიდან 5-დან 45 დღის განმავლობაში. 2010 წლამდე გარკვეული საქონელი და მომსახურება ექვემდებარებოდა 0% დღგ-ს. ახალი საგადასახადო კოდექსის თანახმად, რომელიც ამოქმედდა 2011 წლის 1 იანვრიდან, ამგვარ გარიგებებს გადასახადისგან გათავისუფლებულ ოპერაციებს უწოდებენ კრედიტის უფლებით. ამ უფლებით სარგებლობს ფინანსური მომსახურება, ფასიანი ქაღალდების მიწოდება და იმპორტი, საექსპორტო საქონლის წარმოებისთვის განკუთვნილი მასალებისა და ნახევრად მზა საქონლის იმპორტი, სახელმწიფო პრივატიზაციის პროცესში აქტივების მიწოდება, სატრანსპორტო საშუალებების, სათადარიგო ნაწილებისა და მასალების იმპორტირება, რომლებიც საჭიროა ნავთობისა და გაზის ინდუსტრიისთვის, აგრეთვე საქონლისა და მომსახურების მიწოდება, რაც აუცილებელია ინვესტორებისა და მოქმედი კომპანიების მიერ ნავთობისა და გაზის ოპერაციების განსახორციელებლად, ვალუტის, ფასიანი ქაღალდების იმპორტი ან მიწოდება კაპიტალში, თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმოებს შორის საქონლის ან მომსახურების მიწოდება, საერთაშორისო სატრანსპორტო მომსახურების მიწოდება (მათ შორის ტრანზიტი საქართველოს გავლით), უცხოელი ტურისტებისთვის ტურისტული მომსახურების პაკეტი, საქართველოს ეროვნული ბანკის ოქროს მიწოდება და თერმოელექტროსადგურების ბუნებრივი გაზის მიწოდებას.

რაც შეეხება ჯარიმებს, თუ გადასახადის გადამხდელი ითხოვს შეტანილი გადასახადის კრედიტს რეალური ან ყალბი ინვოისის საფუძველზე, რომელიც

დაკავშირებულია გამოგონილ გარიგებასთან, დღგ-ს რეგისტრაციის გარეშე მოქმედება ექვემდებარება ჯარიმას დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციების 5%-ით, საქონლის ან მომსახურების მყიდველის მიერ დღგ-ს ინვოისის წარუდგენლობა, ექვემდებარება ჯარიმას 100% დღგ-ს თანხის.

ექსპორტის გაყიდვებიდან ან ძირითადი საშუალებების ყიდვიდან ან წარმოებიდან მიღებული შენატანის გადასახადი უნდა დაბრუნდეს ერთი თვის განმავლობაში. სხვა შემთხვევებში, ჭარბი თანხა უნდა გადაიტანოს და ანაზღაურდეს დღგ-ს მომავალი ვალდებულებები, ან შეიძლება ანაზღაურდეს ერთი თვის განმავლობაში.

პრაქტიკაში, თანხის დაბრუნება შრომატევადი პროცესია. პროცესის დასაჩქარებლად, ბევრი კომპანია იყენებს გადასახადს გადასახადს, სხვა საგადასახადო ვალდებულებების შესასრულებლად, ნაღდი ფულის დაბრუნების ნაცვლად.

2017 წლის დეკემბერში საქართველოს საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცვლილების თანახმად, ევროკავშირის წევრი ქვეყნის დღგ-ს გადამხდელს უფლება აქვს დაიბრუნოს გადახდილი დღგ, საქონლის (სხვა უძრავი ქონების გარდა) ან / და მომსახურების შემენისას ან საქართველოში შემოტანისას. საქონელი საქართველოში, საქართველოს საგადასახადო კოდექსში მითითებული პირობების შესაბამისად.

აქციზის გადამხდელია პირი, რომელიც:

- ✓ აწარმოებს აქციზურ საქონელს საქართველოში;
- ✓ ახორციელებს აქციზური საქონლის იმპორტს საქართველოში;
- ✓ ახორციელებს აქციზური საქონლის ექსპორტს;
- ✓ ახორციელებს ბუნებრივი აიროვანი კონდენსატის ან/და ბუნებრივი აირის ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის მიწოდებას;
- ✓ ახორციელებს მობილურ ან ფიქსირებულ ქსელში არარეზიდენტი ან რეზიდენტი პირისაგან მიღებული საერთაშორისო ზარის დასრულების მომსახურებას.

დაბეგვრის ობიექტი:

- ✓ დასაბეგრი ოპერაცია;
- ✓ აქციზური საქონლის იმპორტი;
- ✓ აქციზური საქონლის ექსპორტი.

იბეგრება განსაზღვრული საქონელი, რომელიც მზადდება საქართველოში ან იმპორტირებულია. აქციზის გადასახადი ზოგადად გამოიანგარიშება საქონლის რაოდენობის (მაგ. მოცულობის, წონის) გათვალისწინებით, ან ავტომობილების შემთხვევაში ძრავის გადაადგილებისა და ავტომობილის ასაკის გათვალისწინებით. აქციზის გადასახადი ვრცელდება ალკოჰოლურ სასმელებზე, თამბაქოს ნაწარმზე, თამბაქოს ნედლეულზე და თამბაქოს ნარჩენებზე, ავტომობილებზე, მოტოციკლებზე, ნავთობპროდუქტებზე და ბუნებრივ გაზზე (მილსადენის გარდა), ბიოდიზელზე, პიროლიზის თხევად პროდუქტზე. საბიუჯეტო დეფიციტის პირობებში, მთავრობამ საგადასახადო შემოსავლების ალტერნატიული წყაროების მოზიდვის მიზნით, გადასახადის წნეხის გათანაბრება გადაწყვიტა. შესაბამისად, შეირჩა აქციზის გადასახადი, მაგალითად 2019 წლის პირველი იანვრიდან თამბაქოს მწარმოებლებს მნიშვნელოვნად გაეზარდათ აქციზის გადასახადი. კერძოდ, უფილტრო სიგარეტის აქციზის გადასახადი არსებული 0,60 თეთრიდან 1,70 ლარამდე გაიზარდა, რაც 1,10 ლარის გამვირებას წარმოადგენს.

აქციზური საქონლის ექსპორტი იბეგრება 0% -ით.

იმპორტირებულ საქონელზე აქციზის გადახდა ხდება იმპორტისთანავე. სხვა აქციზის გადასახადი უნდა გადაიხადოს, ხოლო აქციზის დეკლარაციები წარდგენილია დასაბეგრი ოპერაციის მომდევნო თვის 15 რიცხვამდე.

ფიზიკური პირებისთვის *ქონების გადასახადის* დასაბეგრი ობიექტია საკუთრებაში არსებული უძრავ ქონება (მათ შორის, დაუმთავრებელ მშენებლობა, შენობა-ნაგებობა ან მათ ნაწილი), იახტები (კატარღებზე), შვეულმფრენები, თვითმფრინავები;

არარეზიდენტისაგან ლიზინგით მიღებულ ქონება; ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში, მის ბალანსზე ძირითად საშუალებად აღრიცხული აქტივები, დაუმონტაჟებელი მოწყობილობები, აგრეთვე მის მიერ ლიზინგით გაცემული ქონება. ფიზიკური პირები ვალდებული არიან წარადგინონ დეკლარაცია არა უგვიანეს კალენდარული წლის 1 ნოემბრისა. გადასახადს იხდის არა უგვიანეს კალენდარული წლის 15 ნოემბრისა. ფიზიკური პირი ქონების გადასახადის დეკლარაციას წარადგენს თუ ამ პირის ოჯახის მიერ მიმდინარე კალენდარული წლის წინა წლის განმავლობაში მიღებული შემოსავლები აღემატება 40 000 ლარს. მიწაზე ქონების გადასახადის გადახდისაგან გათავისუფლებულია: 2004 წლის 1 მარტის მდგომარეობით ფიზიკური პირის საკუთრებაში არსებული 5 ჰექტარამდე ფართობის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები; ძირითადი გადასახადები და მისი განაკვეთები:

- ✓ საშემოსავლო გადასახადი – 20%
- ✓ მოგების გადასახადი – 15%
- ✓ დამატებული ღირებულების გადასახადი – 18%
- ✓ აქციზი – განაკვეთი მერყევია
- ✓ საბაჟო გადასახადი - 0%, 5% ან 12%
- ✓ ქონების გადასახადი – ქონების თვითღირებულების 1%.

განვასხვავოთ რამდენიმე სახის კომპანია, რომლებიც განსხვავდებიან დაბეგვრის სხვადასხვა განაკვეთებით, ასევე სარგებლობენ გარკვეული შეღავათებით.

თავისუფალი ინდუსტრიული ზონის კომპანია არის რეგისტრირებული პირი, რომელიც მდებარეობს თიზ – ის შიგნით, რომელმაც დაადასტურა თავისი სტატუსი საგადასახადო ორგანოებთან. თავისუფალი ინდუსტრიული ზონის კომპანიის მიერ მიღებული შემოსავალი თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში ნებადართული საქმიანობიდან თავისუფლდება მოგების გადასახადისგან. მან უნდა გადაიხადოს გადასახადი 4% საქონლის საბაზრო ფასზე, რომელიც მიეწოდება საქართველოს კანონმდებლობით რეგისტრირებულ პირს.

სპეციალური სავაჭრო კომპანია არის კომპანია, რომელმაც დაადასტურა თავისი სტატუსი საგადასახადო ორგანოებში. სპეციალურ სავაჭრო კომპანიას შეუძლია უცხოური საქონლის რეალიზაცია და რეექსპორტი. სპეციალური სავაჭრო კომპანია თავისუფლდება მოგების გადასახადისგან უცხოური საქონლის გაყიდვის და რეექსპორტიდან მიღებული შემოსავლის მიღებისას.

საერთაშორისო კომპანია არის კომპანია, რომელმაც დაადასტურა თავისი სტატუსი საქართველოს მთავრობასთან და მდებარეობს თიზ – ის გარეთ. არარეზიდენტების საერთაშორისო კომპანიის მომსახურების გაწევა არ ექვემდებარება დაბეგვრას დღგ-თი. საერთაშორისო კომპანიის მიერ დივიდენდების განაწილება ასევე არ იბეგრება. თანამშრომლებისთვის ხელფასების გადახდის დროს, საერთაშორისო კომპანია ვალდებული არ არის დააკავოს გადასახადი წყაროსთან, ხოლო მისი უცხოელი თანამშრომლები, რომლებიც საქართველოს რეზიდენტები არიან თავისუფლდებიან საშემოსავლო გადასახადისგან. მოგების გადასახადი საერთაშორისო კომპანიისთვის არის 5% და თავისუფლდება ქონების (გარდა მიწის) გადასახადისგან, რომელიც განკუთვნილია ან გამოიყენება მისი საქმიანობის შესასრულებლად

უცხოური სუბიექტები ვალდებული არიან გადასახადები გადაიხადონ საქართველოში არსებული წყაროებიდან მიღებულ შემოსავალზე. ზოგადი თვალსაზრისით, საქართველოს შემოსავალს წყარო შეიძლება იყოს:

- შემოსავალი საქართველოში განხორციელებული საქმიანობიდან ან ქონებიდან.
- პასიური შემოსავალი (მაგ., დივიდენდები, პროცენტები და როიალტი).

უცხოური კომპანია, რომელიც შემოსავალს მიიღებს საქართველოში მომსახურების გაწევის შედეგად, ექვემდებარება 10% დაკავების გადასახადს, თუ კომპანიას არ აქვს მუდმივი დაწესებულება საქართველოში. ამასთან, შეღავათი შეიძლება ხელმისაწვდომი იყოს შესაბამისი საგადასახადო ხელშეკრულების საფუძველზე.

2.3 საკანონმდებლო ჩარჩო

საერთაშორისო ბიზნესისთვის მნიშვნელოვანი საკითხია *საკანონმდებლო ჩარჩო*. გადასახადები და მოსაკრებლები, აგრეთვე ჯარიმები შეუსაბამობისა და სამართალდარღვევებისთვის, განისაზღვრება საქართველოს საგადასახადო კოდექსითა და საბაჟო კოდექსით.

ზოგადად, საერთაშორისო ხელშეკრულებები ჭარბობს ადგილობრივ კანონმდებლობას. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ შეიძლება გამოსცეს ბრძანებები ან მითითებები საგადასახადო კანონმდებლობის გამოყენების შესახებ. ინსტრუქციები უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს საგადასახადო კოდექსს, ან მათ არ აქვთ იურიდიული ძალა. ამის მიუხედავად, მაშინაც კი, თუ რაიმე ეჭვი შეიტანება ბრძანების ან ინსტრუქციის სისწორეში, მაინც გონივრულია განიხილონ საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციები და საგადასახადო ორგანოებთან კონფლიქტის საშიშროება, სანამ დადგენილ კანონს მიიღებენ.

საგადასახადო ხელშეკრულებები 2019 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით, საქართველოში მოქმედებს 56 საგადასახადო ხელშეკრულება. ამჟამინდელი წესების თანახმად, გადასახადის გადამხდელებს არ მოეთხოვებათ ხელისუფლებისგან ხელშეკრულების შემსუბუქების დადასტურება, ამასთან უნდა დაიცვას გარკვეული ადმინისტრაციული პროცედურები, რომლებიც მოიცავს განაცხადის ფორმის შევსებას, საგადასახადო ბინადრობის მოწმობასთან ერთად, რომელიც აპოსტილირებულია ან ლეგალიზებულია ინვესტორის მშობლიურ ქვეყანაში.

საგადასახადო სისტემის ადმინისტრირება - ყველა გადასახადს ახორციელებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური.

ქონების გადასახადის განაკვეთები ფასდება ადგილობრივი ხელისუფლების მიერ, საგადასახადო კოდექსით დადგენილ ფარგლებში.

რეგისტრაციის მოთხოვნები - საგადასახადო რეგისტრაცია ტარდება სახელმწიფო რეგისტრაციასთან ერთად საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში.

რეგისტრაციის პროცესი უნდა გაგრძელდეს არაუმეტეს ერთი დღისა მას შემდეგ, რაც მიიღება ყველა საჭირო დოკუმენტაცია და გადაეცემა შესაბამის ორგანოს.

დღგ-ს დაქვემდებარებული პირები ვალდებული არიან ცალკე დარეგისტრირდნენ დღგ-ზე.

გადასახადების დეკლარაციები და გადახდები - 2010 წლის 1 იანვრიდან ყველა გადასახადის გადამხდელს მოეთხოვება ელექტრონული ფორმით წარადგინონ დეკლარაციები. გადასახადის გადამხდელები თვითშეფასების საფუძველზე აკეთებენ დეკლარაციებსა და გადახდებს. ამასთან, თუ საგადასახადო ორგანოებმა დაადგინეს, რომ დეკლარაციაში ასახული გადასახადი არასწორია, მათ შეუძლიათ გადასახადების შეფასება შეადგინონ დეკლარაციის შეტანის წლის ბოლოდან სამი წლის განმავლობაში. საწესდებო ვადაა 3 წელი და ეს პერიოდი შეიძლება გაგრძელდეს 11 წლამდე.

გადასახადის ოდენობა, აგრეთვე ნებისმიერი ჯარიმა უნდა გადაიხადოს საგადახდო დავალების მიღებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში.

მიმართვები - გადასახადის გადამხდელს შეუძლია აირჩიოს შემოსავლების სამსახურის ან სასამართლოს საგადასახადო ან საბაჟო ორგანოების გადაწყვეტილების გასაჩივრება. შემოსავლების სამსახურმა ან სასამართლომ ნებისმიერი საჩივარი უნდა მიიღონ შეტყობინების მიღებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში. თუ შემოსავლების სამსახურში გასაჩივრება წარუმატებლად დასრულდა, გადასახადის გადამხდელს 20 კალენდარული დღე აქვს ვადა, რომ ესკალაცია გაუწიოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებულ გასაჩივრების საბჭოში. თუ სააპელაციო კოლეგიაში გასაჩივრება წარუმატებლად დასრულდა, გადასახადის გადამხდელს 20 კალენდარული დღე აქვს სასამართლოში გასაჩივრებისთვის. შემოსავლების სამსახურს, შემდეგ კი სააპელაციო საბჭოს, საჩივრის განსახილველად 20 სამუშაო დღე აქვთ. შემოსავლების სამსახურმა და სააპელაციო საბჭომ შეიძლება გააგრძელონ ვადა 45 კალენდარული დღით, ამ შემთხვევაში გადასახადის გადამხდელი მიიღებს წერილობით შეტყობინებას

გახანგრძლივების შესახებ. თუ გადასახადის გადამხდელი ვადაში ვერ მიიღებს პასუხს შემოსავლების სამსახურის ან სააპელაციო საბჭოსგან, გადასახადის გადამხდელი უფლებამოსილია (მაგრამ არ არის ვალდებული) განიხილოს საჩივარი უარყოფილი და დავა გადაიტანოს შემდეგ დონეზე. გადასახადის გადამხდელს შეუძლია საჩივრის შეტანა სასამართლოში ნებისმიერ დროს გასაჩივრების პროცესში. ამ შემთხვევაში, შემოსავლების სამსახურის ან სააპელაციო საბჭოს საჩივრის განხილვა შეწყდება.

გადასახადების დაკავება - გარდა თიზ-ში მომუშავე დამსაქმებლებისა, დამსაქმებლები ვალდებულნი არიან ყოველთვიურად დააკავონ პირადი საშემოსავლო გადასახადი მათი თანამშრომლების ხელფასებიდან. გადასახადები გადაირიცხება სახელმწიფო ბიუჯეტში იმავე დღეს, როდესაც ისინი გამოიქვითება. ყოველთვიური პირადი საშემოსავლო გადასახადის დეკლარაცია დამსაქმებელმა უნდა წარმოადგინოს მომდევნო თვის 15 რიცხვამდე.

პროცენტების გადასახადი ზოგადად ექვემდებარება 5% დაკავებულ გადასახადს, თუმცა არსებობს რამდენიმე შეღავათი. პროცენტული გადასახადები არარეზიდენტებისთვის, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან შავ სიაში ჩამოთვლილ ქვეყნებში, ექვემდებარება 15% დაკავების გადასახადს.

არარეზიდენტებისათვის ჰონორარის გადახდა ექვემდებარება 5% დაკავებულ გადასახადს, თუმცა როდესაც მიმღები რეგისტრირდება შავ სიაში მითითებულ ქვეყანაში, დასაბეგრი განაკვეთი შეადგენს 15% -ს. დივიდენდების გადახდა (გარდა სხვა ქართული სუბიექტისა) ექვემდებარება 5% დაკავებულ გადასახადს. ნავთობისა და გაზის ქვეკონტრაქტორებისთვის შემოსავლის გადასახადი ექვემდებარება 4% დაკავების გადასახადს.

არარეზიდენტებისათვის საერთაშორისო გადაზიდვებისა და საერთაშორისო კომუნიკაციებისათვის გადახდა ექვემდებარება 10% დაკავების გადასახადს.

დაზღვევისთვის არარეზიდენტებისათვის გადახდები ექვემდებარება 0% დაკავებულ გადასახადს.

არარეზიდენტების გადასახადები რისკის დაზღვევისა და გადაზღვევისთვის ექვემდებარება 0% დაკავებულ გადასახადს.

არარეზიდენტების გადასახადები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული ზემოთ მითითებული განაკვეთებით, ექვემდებარება 10% დაკავების გადასახადს.

შავ სიაში ჩამოთვლილ ქვეყნებში რეგისტრირებული არარეზიდენტებისათვის გადასახადების შემთხვევაში, მოქმედი გადასახადი 15% იქნება. საქართველოს მთავრობა განსაზღვრავს შავ სიაში მოცემული ქვეყნების ჩამონათვალს.

არარეზიდენტებისათვის დაკავების გადასახადის განაკვეთები შეიძლება შემცირდეს შესაბამისი საგადასახადო ხელშეკრულების საფუძველზე.

საგადასახადო შემოწმება - საქართველოს საგადასახადო კანონი ითვალისწინებს ორი სახის საგადასახადო შემოწმებას:

- სამაგიდო შემოწმება მოიცავს საგადასახადო ოფიცერს, რომელიც განსაზღვრავს გადასახადის გადამხდელის ვალდებულებების შესაბამისობას საგადასახადო კოდექსის მოთხოვნებთან გადასახადის გადამხდელის საქმიანობის ადგილის მონახულების გარეშე. დადგენილებას საფუძველად უდევს ფინანსური ანგარიშგების, საგადასახადო დეკლარაციების და საგადასახადო ორგანოების საკუთრებაში არსებული სხვა მონაცემების ანალიზი, აგრეთვე გადასახადის გადამხდელისგან მოთხოვნილი განმარტებები და სააღრიცხვო დოკუმენტები. თუ სამუშაო მაგიდის შემოწმების დროს გამოვლინდა შეცდომები, გადასახადის გადამხდელს წერილობით ეცნობება საგადასახადო შემოწმების აქტის სახით.
- საველე შემოწმება მოიცავს სრულ ან შემთხვევით შემოწმებას გადასახადის გადამხდელის საქმიანობის ადგილზე ვიზიტით გადასახადების გაანგარიშებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის შემოწმების საფუძველზე. საველე საგადასახადო შემოწმება შეიძლება იყოს დაგეგმილი ან გადაუდებელი. გადასახადის გადამხდელი მიიღებს წერილს მინიმუმ 10 დღით ადრე დაგეგმილი საველე შემოწმების შესახებ. შემდეგ აუდიტი უნდა დაიწყოს 30 დღის განმავლობაში, თორემ შეტყობინება ძალადაკარგული გახდება.

ხელისუფლებას შეუძლია ჩაატაროს სავალდებულო აუდიტი ნებისმიერი პერიოდის განმავლობაში.

საგადასახადო ორგანოებმა უნდა დაასრულონ საგადასახადო შემოწმება დაწყების დღიდან სამი თვის განმავლობაში. საჭიროების შემთხვევაში, ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს ორი თვით. საგადასახადო ორგანოებს უფლება აქვთ განახორციელონ სხვადასხვა კონტროლის პროცედურები აუდიტის ფარგლებში. მაგალითად, გადასახადის გადამხდელის შენობის მონახულება გარკვეული პერიოდის განმავლობაში და გაყიდვების საქმიანობის დაკვირვებას მინიმუმ შვიდი დღის განმავლობაში.

ჯარიმები - განვიხილოთ რამდენიმე ძირითადი ჯარიმა, რომელიც შეიძლება წარმოიშვას საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად:

- საგადასახადო დეკლარაციის გვიან წარდგენა, გამოიწვევს გადასახადის 5% - იანი ჯარიმის გადასახადს, რომელიც გადასახადის გაანგარიშების საფუძველზე გადაიხდება, თუ დაგვიანების ვადა არ აღემატება 2 თვეს, თუ ასეთი შეფერხების პერიოდი აღემატება 2 თვეს - გადასახადის 10%, რომელიც გადასახდელი იქნება გადასახადის დეკლარაციის / გადასახადის გაანგარიშების საფუძველზე; თუ გადასახადის ან გადასახადის გაანგარიშების შედეგად გადასახდელი გადასახადის ჯამი ნულის ტოლია, პირს ჯარიმა არ დაეკისრება.
- მნიშვნელოვანი გადასახადებისგან თავის არიდება შეიძლება განიხილებოდეს როგორც სისხლის სამართლის საქმე.
- გადასახადების დაგვიანებით გადახდა ექვემდებარება პროცენტულ ჯარიმას, გადასახდელი თანხის 0,05% ყოველი ვადაგადაცილებული დღისთვის. ჯარიმა დაწესებულია მხოლოდ ძირითადი საგადასახადო ვალდებულებისთვის და არ ვრცელდება საგადასახადო ჯარიმებზე.
- თუ გადასახადის გადამხდელი (გარდა მიკრო ბიზნესისა) მომხმარებლებზე ნაღდი ფულით გაყიდვას ახორციელებს, მაგრამ არ აქვს სალარო აპარატი,

ვრცელდება ჯარიმა 200 ლარის ოდენობით. ფულადი ქვითრის გაცემა თანხასთან შედარებით, რომელიც რეალურ გადახდაზე ნაკლებია, ჯარიმდება 200 ლარის ოდენობით. სალარო აპარატის დაკარგვა, ჯარიმდება 3000 ლარის ოდენობით. მეორე სალარო აპარატის დაკარგვა პირველი ზარალიდან 60 დღის განმავლობაში ექვემდებარება ჯარიმას 6000 ლარის ოდენობით.

- გადასახადის გადამხდელის რეგისტრაციის პროცედურების დარღვევა ექვემდებარება ჯარიმას 500 ლარის ოდენობით.
- უფლებამოსილი საგადასახადო წარმომადგენლისთვის წინააღმდეგობის გაწევა, რომელიც აკვირდება გადასახადის გადამხდელის საქმიანობას, ჯარიმდება 800 ლარის ოდენობით. განმეორებითი სამართალდარღვევა 12 თვის განმავლობაში ექვემდებარება 2000 ლარს.
- სააღრიცხვო დოკუმენტაციის ან კანონით გათვალისწინებული საგადასახადო ორგანოსთვის სხვა ინფორმაციის წარუდგენლობა ექვემდებარება ჯარიმას 400 ლარის ოდენობით. განმეორებითი დანაშაული 12 თვის განმავლობაში ექვემდებარება 1000 ლარს.

საგადასახადო შეთანხმებები - 2009 წლის ბოლოს მთავრობამ შემოიღო საგადასახადო შეთანხმების კონცეფცია. საგადასახადო შეთანხმება მოიცავს გადასახადის გადამხდელსა და მთავრობას შორის საგადასახადო შეთანხმების დადების შესაძლებლობას, ეს პროცესი შემდეგნაირად არის გაწერილი: გადასახადის გადამხდელი მიმართავს შემოსავლების სამსახურს ხელშეკრულების დადების მიზნით და თან ურთავს შესაბამის მასალებს, შემოსავლების სამსახური მთავრობის სხდომაზე ფინანსთა მინისტრს განსახილველად წარუდგენს განაცხადს, მთავრობა იღებს გადაწყვეტილებას ხელშეკრულების დადების შესახებ და განსაზღვრავს გადასახადელი საგადასახადო ვალდებულებების ოდენობას და გადახდის პირობებს. გადასახადის გადამხდელის საგადასახადო ვალდებულებები ფიქსირდება ხელშეკრულების დადების დღეს. გადასახადის გადამხდელს არ ექნება შესაძლებლობა შეცვალოს მონაცემები მისი საგადასახადო დეკლარაციების

დაფარულ პერიოდში, ხოლო საგადასახადო ორგანოებს ვერ ექნებათ გადასახადის გადამხდელისთვის დამატებითი საგადასახადო ვალდებულებების დაანგარიშება დაფარული პერიოდის განმავლობაში. შემოსავლების სამსახურსა და გადასახადის გადამხდელს შორის დაიდება ფორმალური საგადასახადო შეთანხმება.

3. საგადასახადო სტიმულები, რომლებიც საერთაშორისო კომპანიებს უბიძგებს აკეთონ ბიზნესი საქართველოში

3.1 თავისუფალი ინდუსტრიული ზონა

საქართველოს ტერიტორიაზე არის 4 თავისუფალი ინდუსტრიული ზონა ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა, ქუთაისის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა, ქუთაისის ჰუალინგის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა, თბილისის ტექნოლოგიური პარკის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა. თავისუფალი ინდუსტრიული ზონა (თიზ) არის საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული თავისუფალი ზონის ნაირსახეობა, სადაც მოქმედებს დამატებითი პირობები და საგადასახადო შეღავათები. თავისუფალი ინდუსტრიული ზონა განსაზღვრული ვადით გამოიყოფა ეკონომიკური საქმიანობისათვის და მის ფარგლებში პირები ექვემდებარებიან სპეციალურ ეკონომიკურ და სამართლებრივ რეჟიმს. თიზში გადასახადებთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება საქართველოს საგადასახადო კოდექსით, კერძოდ:

- მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებულია თიზ-ის საწარმოს მიერ მიღებული მოგება.
- უცხოური საქონლის შეტანა არ იბეგრება დამატებული ღირებულების გადასახადით.
- თიზ-ში განხორციელებული ოპერაციები არ იბეგრება დამატებული ღირებულების გადასახადით.
- თიზ-ში არსებული ქონება გათავისუფლებულია ქონების გადასახადისაგან.
- უცხოური საქონლის შეტანა გათავისუფლებულია იმპორტის გადასახადისაგან.

- თიზ-ში წარმოებული საქონლის თიზ-დან შეტანა (იმპორტი) საქართველოს სხვა ტერიტორიაზე (თიზ-ის გარეთ) გათავისუფლებულია იმპორტის გადასახადისაგან.
- თიზ-ში საშემოსავლო გადასახადს დაქირავებული იხდის შემოსავლის დეკლარირების საფუძველზე.

თიზის საწარმო ვალდებულია გადაიხადოს შემდეგი გადასახადები:

- ქართული კომპანიებისთვის საქონლის მიწოდების შემთხვევაში (FIZ საწარმოების გარდა), თიზის საწარმო პასუხს აგებს გადაიხადოს გადასახადი შემოსავალზე (მიღებული / მისაღები) 4% -ით, არა უგვიანეს თვის მე -15 დღისა;
- საქონლის შექმნის შემთხვევაში (გარდა ელექტროენერჯისა, წყლისა და გაზის ადგილობრივი მოხმარებისთვის) ქართული კომპანიებიდან (FIZ საწარმოების გარდა), თიზის საწარმო ვალდებულია გადაიხადოს გადასახადი საქონლის საბაზრო ღირებულება 4%.

თიზში საქართველოს საქონლის შეტანა განიხილება, როგორც საქონლის ექსპორტი, ხოლო ზონიდან საქონლის სხვა ქვეყანაში გატანა განიხილება, როგორც საქონლის ექსპორტი.

თიზდან საქონლის საქართველოს სხვა ტერიტორიაზე შეტანისას საქონლის მიმართ გამოიყენება საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული სასაქონლო ოპერაცია. ამასთანავე, ზონაში წარმოებული საქონლის იმპორტში მოქცევისას საქონელი, მიუხედავად მისი ოდენობისა, იბეგრება მხოლოდ დამატებული ღირებულების გადასახადით.

თიზ-ის საწარმოს ეკრძალება:

- საქართველოს კანონმდებლობით რეგისტრირებული პირისაგან (გარდა თიზ-ის საწარმოსი) მომსახურების შექმნა, გარდა: თიზ-ის ორგანიზატორის ან/და ადმინისტრაციის მიერ დაცვის მომსახურების გაწევისა ან/და ქონების ქირით ან იჯარით გადაცემისა;

- ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, კანალიზაციის, აუდიტორული ან/და საკონსულტაციო მომსახურებისა, ლიცენზირებული ფინანსური ინსტიტუტის მიერ ფინანსური ოპერაციების განხორციელებისა ან/და ფინანსური მომსახურების გაწევისა, აგრეთვე ძირითად საშუალებათა დადგმისა, მონტაჟისა ან/და მშენებლობის მომსახურების გაწევისა;
- საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული მომსახურებისა;
- საქართველოს კანონმდებლობით რეგისტრირებული პირისათვის (გარდა თიზ-ის საწარმოსი) მომსახურების გაწევა.¹⁶

რაც შეეხება ვალუტას - თიზ-ში, აგრეთვე თიზ-ის საწარმოსა და საქართველოს საწარმოს შორის ანგარიშსწორება ხორციელდება ნებისმიერი ვალუტით. თავისუფალი ინდუსტრიული ზონების ფუნქციონირების ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს მთავრობა. აღსანიშნავია, რომ თითოეულ FIZ-ს აქვს შესასვლელი / გასასვლელი და შესაბამისი საბაჟო გამშვები პუნქტი.¹⁷

3.2 ესტონური მოდელი

2017 წლიდან საქართველო გადავიდა კომპანიების მოგების დაბეგვრის ახალ მოდელზე (ე.წ. ესტონეთის მოდელზე), რომლის მიხედვითაც გადასახადისაგან გათავისუფლებულია მოგების ის ნაწილი, რომელიც რეინვესტირებული იქნება საწარმოს/ფირმის მიერ. წარმოვიდგინოთ ორი საწარმო, რომელთა მოგება შეადგენს 100 ათას ლარს, ამ მოდელის დანერგვამდე, ორივე საწარმო დაიბეგრებოდა 15 პროცენტით ანუ ორივე საწარმო ბიუჯეტში გადაიხდიდა 15 ათას ლარს, შემდეგ ერთ საწარმოს დარჩენილი თანხა შეეძლო წაეღო სახლში, ხოლო მეორეს - ისევ ბიზნესში დაეტოვებინა ანუ რეინვესტირება მოეხდინა. ამ მოდელის ამოქმედების შემდეგ ის საწარმო რომელიც მოგების რეინვესტირებას გადაწყვეტს, აღარ გადაიხდის 15 პროცენტს მოგების გადასახადს ანუ მხოლოდ იბეგრება განაწილებული მოგება.

¹⁶ თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ კანონი

¹⁷ Free industrial zone, 2019

ახალი მოდელის მიხედვით მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია, განაწილებული მოგება რომელიც საწარმოს მიერ მის პარტნიორზე დივიდენდის სახით, ფულადი ან არაფულადი ფორმით ნაწილდება.

1. განაწილებული მოგება;
2. გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის;
3. უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა; მათ შორის სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ან/და ძირითადი საშუალების დანაკლისი;
4. საგადასახადო კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.

მოგების რეინვესტირების უფლება ერთნაირად აქვთ მცირე, საშუალო და მსხვილ ბიზნესს. მაგრამ ცხადია, რომ კომპანია ვერ შეძლებს მუდმივად მოახდინოს მოგების რეინვესტირება, ამიტომ პერიოდულად მათ უწევთ ბიუჯეტში მოგების გადასახადის გადახდა. როცა ბიზნესს მეტი ფინანსური რესურსი რჩება დაუბეგრავი მოგების სახით, ამით კანონმდებლობა უბიძგებს მას, განახორციელოს რეინვესტიცია, გააფართოოს წარმოება. ეს კი პირდაპირ აისახება უმუშევრობის შემცირებაზე, ეკონომიკისა და საბიუჯეტო შემოსავლების ზრდაზე. აღნიშნული მოდელი ხელს უწყობს საქართველოში ბიზნესის განვითარებასა და გაფართოებას, რაც თავისთავად ეკონომიკის ზრდას და დასაქმების ზრდას შეუწყობს ხელს. როგორც ჩანს, მას ბიზნესიც მხარს უჭერს, რადგან ფიქრობენ, რომ ამ მოდელის დანერგვით შემცირდება საგადასახადო წნეხი კერძო სექტორზე და დაახლოებით 400-500 მლნ ლარი კერძო სექტორში დარჩება. მეორე მხრივ, გამარტივდება საგადასახადო ადმინისტრირება.¹⁸

¹⁸ მოგების გადასახადის ახალი მოდელი საქართველოში და მისი აღრიცხვის თავისებურებები, იზოლდა ჭელიძე

საქართველოში ესტონური მოდელის დანერგვა ერთგვარი გამოწვევა იყო ქვეყნისათვის, საქართველოს კანონმდებლობა და მოგების გადასახადის სისტემა ძირითადად ფუძნება საერთაშორისო გამოცდილებას, რაც ქვეყანას საშუალებას აძლევს სხვადასხვა ქვეყნების მაგალითზე განახორციელოს ცვლილებები. შემოთავაზებული მოდელი კი, მხოლოდ ესტონურ გამოცდილებას ეფუძნებოდა და გაამართლებდა თუ რა იგი საქართველოში გარკვეული რისკის ქვეშ იდგა, რადგან მოდელის დანერგვასთან დაკავშირებული გამოწვევების და რეფორმის შემდგომი მდგომარეობის შეფასება შემოიფარგლებოდა მხოლოდ ერთი ქვეყნის გამოცდილებით. თუმცა, ჩვენი აზრით, მოგების გადასახადის ესტონური მოდელის გადმოღება სწორი და მისაღებია, ვინაიდან იგი განაპირობებს საწარმოებისა და წარმოების ზრდას ქვეყანაში. საწარმომ, რომელმაც იცის, რომ ის მოგების გადასახადს არ გადაიხდის დაინტერესებული იქნება, რაც შეიძლება დიდი რაოდენობის რეინვესტირება განახორციელოს რაც ხელს შეუწყობს, ერთის მხრივ რეინვესტირების განხორციელებას და მეორეს მხრივ, კი თავად საწარმოო პროცესის მდგრადობას. საქართველოში მოქმედი ბიზნეს სუბიექტებისათვის გაუნაწილებელი მოგების დაბეგვრისაგან გათავისუფლება არის საგადასახადო ტვირთის შემცირება. არსებულ საწარმოებში, ფირმებში გაჩნდება წარმოების გაფართოების სტიმული და განხორციელდება რეინვესტირება. აღნიშნული მოდელი გააუმჯობესებს კომპანიების ხელმისაწვდომობას ფინანსურ რესურსებზე, გაზრდის ბიზნეს აქტივების ლიკვიდურობას, გაიზრდება ბიზნესში არსებული კაპიტალის მოცულობა, ბიზნესსექტორი გახდება უფრო მდგრადი კრიზისების ადმი, გაიზრდება უცხოური ინვესტიციები. ესტონური მოდელი საქართველოში დაინერგა ისე, რომ არ გაუქმებულა მოგების გადასახადის წინა მოდელი. არიან სუბიექტები, რომლებზეც ძველი მოდელი კვლავ რჩება ძალაში, ესენია: ინდ.მეწარმეები, ორგანიზაციები, არაკომერციული იურიდიული პირები და საჯარო სამართლის იურიდიული პირები. ისეთი სუბიექტების მიმართ, როგორცაა მიკრომეწარმე, მცირე მეწარმე, ფიქსირებული გადასახადის მქონე სუბიექტები, ესტონური მოდელი არ იმოქმედებს, რადგან მათ აქვთ გარკვეული შეღავათები,

მაგალითად, მიკრო მეწარმეები საერთოდ არ იხდიან მოგების გადასახადს. ესტონური მოდელი მცირე და საშუალო ბიზნესისათვის კი განსაკუთრებით მიმზიდველია, რადგან მათ მიერ დაზოგილ თანხა რჩება რეინვესტირებაში.¹⁹ კომერციული ბანკები, საკრედიტო კავშირები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები და სესხის გამცემი სუბიექტები მოგების გადასახადს გადაიხდიან ახალი რეჟიმით 2023 წლის 1 იანვრის შემდეგ.

საინტერესოა რა შედეგები მოყვა ესტონური მოდელის დანერგვას საქართველოში და რა გავლენა იქონია საერთაშორისო ორგანიზაციებზე. 2017 წელს პარლამენტში სიტყვით გამოსვლისას, ფინანსთა მინისტრმა, მამუკა ბახტაძემ განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა მოგების გადასახადის რეფორმის შედეგებზე. უცხოური ინვესტიციების თვალსაზრისით ძალიან კარგი მდგომარეობა გვქონდა გასულ წლებში, ეროვნული ბანკის მონაცემების მიხედვით 2018 წლის პირველ კვარტალში პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში რეინვესტირების მოცულობა 199,6 მლნ დოლარი იყო, 2017 წელს იმავე პერიოდში კი პირდაპირი უცხოური ინვესტიციებიდან რეინვესტირებულმა თანხამ 181,8 მლნ შეადგინა, 2016 წელს ეს მაჩვენებელი 19,8 მლნ დოლარი იყო, ხოლო 2015 წელს კი - 47,2 მლნ დოლარი. რეინვესტირების მთლიანი მოცულობა იზრდება მაგრამ, 2017 წელს მან რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია და წინა წლის მაჩვენებელს 104,7%-ით გადააჭარბა, რაც ნამდვილად შთამბეჭდავია.²⁰

თუმცა უარყოფითი ის არის, რომ მოგების გადასახადის გაუქმება ბიუჯეტზე უარყოფით ზეგავლენას ახდენს მოკლევადიან პერიოდში, სანამ მოხდება სხვა ტიპის გადასახდიდან, გაუქმებული მოგების გადასახადის კომპენსაცია.²¹ საქართველოს

¹⁹ მელქაძე, 2017

²⁰ საქართველოს ეროვნული ბანკი www.nbg.gov.ge

²¹ მიქაუტაძე გ. მოგების გადასახადის ესტონური მოდელი, ინტერვიუ. [მოგების გადასახადის ესტონური მოდელის მთავარი საიდუმლო | BPN](#)

ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკის მიხედვით აღნიშნული უარყოფითი ეფექტი წარმოდგენილია ცხრილების სახით.

ცხრილი 1. მოგების გადასახადის სიდიდე და მისი წილი შემოსავლებში²²

წელი	2015	2016	2017	2018
მოგების გადასახადი (მლნ ლარი)	1025	1055	740	630
წილი ბიუჯეტში (%)	13	12	8	6

ცხრილი 2. გადასახადებიდან მიღებული შემოსავლები²³

წელი	2015	2016	2017	2018
საგადასახადო შემოსავლები სულ (მლნ ლარი)	7556	7987	8980(+)	9490(+)
აქციზი(მლნ)	871	1070	143(+)	1450(+)
დღგ (მლნ ლარი)	3505	3286	4020(+)	4400(+)
საშემოსავლო გადასახადები(მლნ ლარი)	2052	1978	2570(+)	2780(+)
იმპორტის გადასახადი(მლნ ლარი)	69	70	65	60
მოგების გადასახადი (მლნ ლარი)	1025	1055	740(-)	630(-)
სხვა გადასახადები (მლნ ლარი)	27	525	150	170

როგორც 1-ლი ცხრილიდან ჩანს, მოგების გადასახადი 2017 წელს წინა წელთან შედარებით, 29.8%-ით შემცირდა, ხოლო საბიუჯეტო შემოსავლებში მოგების გადასახადმა 8% შეადგინა, რაც 4%-ით ჩამორჩება წინა წლის მაჩვენებელს. როგორც ვხედავთ, მოგების გადასახადი 2018 წლის გეგმის მიხედვითაც მცირდება, რაც

²² საქართველოს ფინანსთა სამინისტრო www.mof.gov.ge

²³ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური www.geostat.ge

ცხადია უკვე ტენდენციის ხასიათს იღებს. ის დანაკლისი, რომელიც მოგების გადასახადის შემცირების გამო არსებობს, მთავრობამ გადაწყვიტა სხვა გადასახადების ზრდით დააკომპენსიროს, რაც კარგად ჩანს მე-2 ცხრილიდან. ამ ყველაფრის ფონზე, მიუხედავად მოგების გადასახადის შემცირებისა, საგადასახადო შემოსავლები 2017 წელს წინა წელთან შედარებით საერთო ჯამში 12.4 %-ით გაიზარდა. საგადასახადო განაკვეთის ზრდა საქართველოში აკრძალულია ეკონომიკური თავისუფლების აქტით და საჭიროებს რეფერენდუმს, თუმცა იმავე აქტის მიხედვით, რეფერენდუმის გარეშე შესაძლებელია საგადასახადო განაკვეთის ზრდა მხოლოდ 3 წლის განმავლობაში. საერთაშორისო გამოცდილებას თუ დავეყრდნობით, პირდაპირი გადასახადის შემცირება არაპირდაპირი გადასახადის ზრდის ხარჯზე მიღებული პრაქტიკაა და ქვეყნები ხშირად მიმართავენ ეკონომიკური რეცესიის დაძლევისა და ეკონომიკური სტიმულირების მიზნით. რაც შეეხება ესტონური მოდელის გავლენას საერთაშორისო კომპანიებზე, რომლებიც საქართველოში აკეთებენ ბიზნესს, ახდენს როგორც დადებით, ისე უარყოფით ზეგავლენას. განვიხილოთ ესტონური მოდელის დადებითი გავლენა:

- კომპანიებს შეუძლიათ დაგროვილი თანხების შენარჩუნება და მათი ლიკვიდურობის გაზრდა, შესაბამისად ისინი ნაკლებად დამოკიდებული არიან გარე დაკრედიტებაზე, შედეგად მცირდება მათი ხარჯები;
- რეინვესტირების სტიმულირება;
- ფინანსური რესურსების დაზოგვა მოგების წარმოებიდან მის მიღებამდე;
- გაიზრდება ბიზნესის კრიზისისადმი მდგრადობა;

უარყოფითი გავლენა:

- გართულებული საგადასახადო ადმინისტრაცია (ყოველთვიური დეკლარაციის თვალსაზრისით), ასევე დიდ პრობლემას წარმოადგენს მოუწესრიგებელი ბუღალტერია. არის შემთხვევები, როდესაც კომპანიები ჩამორჩენით აწარმოებენ ბუღალტრულ აღრიცხვას, კერძოდ, ყოველდღიურ გატარებებს არ აკეთებს, როდესაც კომპანია აღადგენს ბუღალტერიას 6 თვის ან 1 წლის შემდეგ,

აღმოჩნდება რომ ბუღალტრულად სალაროში აქვს დიდი ნაშთი, მაგალითად მცირე ზომის კომპანიას 300 000 ლარი, რაც არარეალურია და ამას შემოსავლების სამსახური განიხილავს დივიდენდად ან სესხად და შესაბამისად ხდება დაბეგვრა.

- ზოგიერთ შემთხვევაში საგადასახადო ტვირთის ზრდა (მაგ. ოფშორული გარიგებები - არარეზიდენტ და ოფშორული კომპანიებთან დადებული გარიგების დროს, კანონმდებლობა ავალდებულებს კომპანიას შესყიდვა და გაყიდვა აწარმოონ საბაზრო ფასით. თუ კომპანია გადაიხრება საბაზრო ფასიდან, ძვირად შეიძენს ან იაფად გაყიდის საქონელს, აქ ირთვება რეგულაცია და სხვაობა, გადამეტებული თანხა იბეგრება. ეს კი დამატებით ხარჯებთან არის დაკავშირებული);
- ზარალის დაგეგმვის მექანიზმის გაუქმება;
- პრობლემას წარმოადგენს დებიტორებისთვის ვალის ჩამოწერის ოპერაცია, რადგან ითვლება რომ ეს ოპერაცია არის უსასყიდლო მიწოდება, რომელიც ესტონური მოდელის თანახმად დაბეგვრას ექვემდებარება. თუმცა შემოსავლების სამსახურის მიერ ეს ოპერაცია არ არის იდენტიფიცირებული. ამიტომ კომპანიები დიდ სიფრთხილეს იჩენენ ვალის ჩამოწერის ოპერაციებთან დაკავშირებით.

მოცემული მოდელის შემოღებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ რეფორმამ მოკლევადიან პერიოდში გამოიწვია საქართველოს ბიუჯეტის შემცირება, კერძოდ 2017 წელს, სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებში, დაახლოებით, 600 მილიონი ლარის, ხოლო 2018 წელს, დაახლოებით, 300დან 400 მილიონ ლარამდე დანაკლისი იქნება თუმცა შემდგომ წლებში მთავრობა მისაღები ეკონომიკური ზრდის ხარჯზე ამ დანაკარგების სრულ კომპენსირებას ელის. დეფიციტის აღმოსაფხვრელად იგეგმება საბიუჯეტო ხარჯების შემცირება, მაგრამ ამასთან ერთად მთავრობამ აქციზის გადასახადი გაზარდა თამბაქოზე, ნავთობპროდუქტებზე და

ავტომობილებზე, რადგან სხვა გადასახადების გაზრდას რეფერენდუმი სჭირდება. ესტონური მოდელის მოქმედების პრობლემაც მოკლევადიან პერიოდში სწორედ ისაა, რომ აქციზის გადასახადის გაზრდა ყველაზე მეტად მოსახლეობას დააწვა, რადგან ქვეყანაში ისედაც არასახარბიელო სოციალურ ფონზე მივიღეთ გაზრდილი ფასები პროდუქციაზე.

მოგების გადასახადით, რომელიც 2017 წლის 1-ელ იანვარს ამოქმედდა, I კვარტლის მონაცემებით, მოგების გადასახადიდან დაგეგმილი იყო 206 000 000 ლარის მობილიზება. შემოსავალმა შეადგინა 259 184 000 ლარი, რაც დაგეგმილზე 53 184 000 ლარით მეტია, ანუ 25,8%-ით მეტი. აღნიშნულ რეფორმას ხელი უნდა შეეწყოს ბიზნესისათვის, რეინვესტირების კუთხით. შესაბამისად, ეკონომიკურ ზრდაზე პოზიტიური ასახვა უნდა ჰქონდეს. თუმცა, პირველი კვარტლის მონაცემების მიხედვით, მოგების გადასახადიდან მიღებული შემოსავლების რაოდენობა აღემატება დაგეგმილს. პირველ კვარტალში ბიზნესს ე.წ. ესტონურ მოდელი არ გამოუყენებია, რაც მოგების გადასახადიდან შემოსული ნამატით ჩანს. კეროდ, გეგმა პირველ კვარტალში – 206 000 000 ლარი, ხოლო ფაქტი – 259 184 000 ლარი. აღნიშნული გადასახადიდან 53 184 000 ლარით მეტი შევიდა ბიუჯეტში, ვიდრე დაგეგმილი იყო.²⁴

აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ორგანიზაციებმა არ გამოიყენეს თანხები რეინვესტირებისთვის და დაგეგმილი ეკონომიკური აღმავლობა და მწარმოებლობის ზრდა შეფერხდა.

შეჯამების სახით, შეიძლება ითქვას, რომ ესტონური მოდელის დანერგვა დიდი წინ გადადგმული ნაბიჯია ეკონომიკის სტიმულირების მიმართულებით. ყველა თანხმდება რომ მოდელი განსაკუთრებით მიმზიდველი სწორედ მცირე და საშუალო ბიზნესისთვისაა. მნიშვნელოვან დადებით შედეგებს მოდელი

²⁴ საქ. ფინანსთა სამინისტრო: <https://www.mof.ge/News/8726>

საშუალოვადიან და გრძელვადიან პერიოდში გამოიღებს, იქამდე კი მთვარობამ არ უნდა გაზარდოს მნიშვნელოვნად ადმინისტრაციული ხარჯები და ამგვარად იზრუნოს საბიუჯეტო დეფიციტის შევსებაზე და არა გაზრდილი აქციზის გადასახადებით, რომლის ცვლილებაც სპონტანურად, ბიზნესთან კომუნიკაციის გარეშე განხორციელდა.

საბოლოოდ, ესტონურ მოდელზე გადასვლა სხვადასხვა ეკონომისტების მხრიდან დადებითად ფასდება. აღნიშნული რეფორმის შედეგად, მნიშვნელოვნად შემცირდა მთლიანი საგადასახადო ტვირთის წილი მთლიან მოგებაში და ესმაჩვენებელი 9,9%-ს გაუტოლდა, რაც წინა წლის მაჩვენებელზე 6,5 პროცენტული პუნქტით ნაკლებია.

დასკვნა

შეიძლება დავასკვნათ, რომ ეფექტიან საგადასახადო პოლიტიკას მნიშვნელოვანი როლი ეკუთვნის ქვეყნის ეკონომიკის მდგრადი განვითარების უზრუნველყოფაში, ჯანსაღი ბიზნესგარემოს შექმნაში, საბაზრო ეკონომიკაში არსებული პრობლემების აღმოფხვრასა და სოციალური პრობლემების მოგვარებაში. გამართული საგადასახადო გარემო ქვეყნის დიდი უპირატესობაა კონკურენტუნარიანი გლობალური საბაზრო ეკონომიკის პირობებში. როდესაც საერთაშორისო ორგანიზაციები განიხილავენ სხვადასხვა ქვეყნების ბიზნეს გარემოს, მათთვის პრიორიტეტს წარმოადგენს საგადასახადო გარემო, რომელიც შექმნილია მარტივი, დაბალი გადასახადების განაკვეთებით, ბიზნესის და მეწარმეობის განვითარებაზე ორიენტირებული საგადასახადო პოლიტიკით.

საგადასახადო პოლიტიკის ეფექტიანობის დონე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად სწორად და გააზრებულადაა ფორმირებული საგადასახადო სისტემა. შესაბამისად, კანონმდებლის ამოცანას წარმოადგენს ეკონომიკურად დასაბუთებული წინადადებების საფუძველზე დაბეგვრის ისეთი რეჟიმის დაწესება, რომელიც არ დაახშობს მეწარმის ეკონომიკურ აქტივობას და ამავდროულად უზრუნველყოფს ბიუჯეტში საგადასახადო შენატანების სათანადო დონეს, ვინაიდან, გადასახადებით დაბეგვრას, როგორც ეკონომიკურ კატეგორიას გააჩნია თავისი საზღვრები. გადასახადების განაკვეთების დადგენისას აუცილებელია ისეთი საგადასახადო ოპტიმუმის დაცვა, რომელიც უზრუნველყოფს ბიუჯეტში შემოსავლების სათანადო დონისა და გადასახადის გადამხდელი უცხოური კომპანიებისთვის შემოსავლის ისეთი წილის დატოვებას, რაც საშუალებას მისცემს წარმოების მაშტაბების გაფართოებას და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას ამიტომ მნიშვნელოვანია საგადასახადო ტვირთის უფრო მეტად შემცირება და დაუბეგრავი მინიმუმის გაზრდა.

გადასახადის გადახდა რომ აუცილებელი და გარდაუვალია საზოგადოების კეთილდღეობისთვის, ეს გათავისებული უნდა ჰქონდეს ქვეყანაში ფუნქციონირებად ყველა ადგილობრივ თუ საერთაშორისო ორგანიზაციას. ამასთან ერთად აუცილებელია, რომ კანონმდებელმა ცალსახად აღიქვას და გაითავისოს, რომ საგადასახადო ტვირთი, როგორც წესი, იმაზე მეტი არ უნდა იყოს, რისი ატანაც შეუძლია ბიზნესსექტორს.

ნაშომში მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეგვიძლია დასკვნის სახით ვთქვათ რომ საქართველოს საგადასახადო გარემო საკმაოდ ლიბერალურია და მიმართული იმისკენ რომ ხელი შეუწყოს ბიზნესის განვითარებას, მას ადასტურებს შემდეგი მონაცემები: ეკონომიკურმა ფორუმმა ჯერ კიდევ 2015-2016 წლების გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიშში აღნიშნა, რომ საგადასახადო განაკვეთები საქართველოში ბიზნესის საკეთებლად ყველაზე ნაკლებად პრობლემურ ფაქტორებს შორისაა. შედეგად, 140 ქვეყანას შორის საქართველოს პოზიციები ასე გამოიყურებოდა:

- დაბეგვრის ეფექტი ინვესტიციების მასტიმულირებელ ფაქტორებზე - მე-13 ადგილი;
- გადასახადის განაკვეთი მოგებაზე - მე-9 ადგილი;
- სავაჭრო ტარიფები - მე-4 ადგილი;
- დაბეგვრის ეფექტი მუშაობის მასტიმულირებელ ფაქტორებზე - მე-15 ადგილი.²⁵

კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი რეიტინგი: საქართველო გადასახადების სიმცირის მიხედვით არის მსოფლიოში მე-3 ადგილზე. გადასახადების სიმცირე იზომება მსოფლიო ბანკის მთლიანი გადასახადების განაკვეთის ინდიკატორით (ე.წ. Total Tax rate). ამ რეიტინგში საქართველოს უსწრებს ორ ჯუჯა სახელმწიფოს ბრუნეი და

²⁵ მოქალაქის გზამკვლევი 2019, 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონი, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, თბილისი, 2018 წელი. გვ 16-17 <https://www.mof.ge/images/File/Citizens-Guide-2019-MOF-kanoni.pdf>

ვანუატუ. თუ არ ჩავთვლით ამ ორ სახელმწიფოებს შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველო არის მსოფლიოში პირველ ადგილზე.²⁶

საქართველოს საგადასახადო სისტემის დადებითი მხარეებია:

მდგრადი ეკონომიკური განვითარებისათვის განხორციელებული გრძელვადიანი ლიბერალური რეფორმების შედეგად ჩვენ მივიღეთ ლიბერალური საგადასახადო რეჟიმი (მხოლოდ ექვსი გადასახადი); შემცირდა საგადასახადო ტვირთი და შედარებით სტაბილურია საგადასახადო გარემო, მოქმედებს განსაკუთრებული დაბეგვრის რეჟიმი მიკრო და მცირე ბიზნესისათვის, მნიშვნელოვნად გამარტივდა საბაჟო პროცედურები, გვაქვს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი საბაჟო ტერმინალები; მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა საქართველოს პოზიციები ავტორიტეტულ საერთაშორისო რეიტინგებში: გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის, ბიზნესის კეთების სიმარტივის, ეკონომიკური თავისუფლების ინდექსისა და საგადასახადო ტვირთის მიხედვით, თუმცა, თუ გავითვალისწინებთ საქართველოს ეკონომიკური განვითარების შენელებულ ტემპებს, უცხოური ინვესტიციების კლების ტენდენციას და ჩვენი მოსახლეობისათვის ყველაზე მტკივნეულ უმუშევრობის პრობლემას, ბუნებრივია იკვეთება საქართველოს საგადასახადო სისტემის და საგადასახადო პოლიტიკის არასრულფასოვნების პრობლემა.

უარყოფითი მხარეები:

სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს „საგადასახადო არასტაბილურობა“, ექსპერტთა უმრავლესობის აზრით, საგადასახადო კანონმდებლობის ხშირი და გაუთვალისწინებელი ცვლილებების გამო უცხოელი ინვესტორები ხშირად უარს აცხადებენ საქართველოში ინვესტიციების განხორციელებაზე; საგადასახადო ტვირთის არათანაბარი განაწილება. მოგებისა და

²⁶ მოქალაქის გზამკვლევი 2019, გვ 36

საშემოსავლო გადასახადის განაკვეთები ეკონომიკის ცალკეული სფეროების და შემოსავლების სხვადასხვა სიდიდის მქონე ბიზნესებისთვის და მეწარმე ფიზიკური პირებისთვის ერთნაირია, რითაც ირღვევა სამართლიანობის პრინციპი;

საგადასახადო კანონმდებლობაში ბუნდოვანი და ორაზროვანი ნორმების არსებობა ბუნდოვანი და ორაზროვანი საგადასახადო კანონმდებლობა აიძულებს გადასახადის გადამხდელებს გასწიონ კონსულტანტთა მომსახურების, ხოლოდავის შემთხვევაში სასამართლო და ადვოკატთა მომსახურების ხარჯები;

რაც შეეხება ესტონური მოდელს ყველა თანხმდება რომ მოდელი განსაკუთრებით მიმზიდველი სწორედ მცირე და საშუალო ბიზნესისთვისაა. თუმცა, გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ მოგების გადასახადის რეფორმით მიღებული ეფექტები ესტონეთში გაცილებით თვალშისაცემია ვიდრე ეს იქნება საქართველოში, რაც აიხსნება ქვეყნებს შორის საგადასახადო გარემოს განსხვავებიდან გამომდინარე. ასევე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ესტონური მოდელის დანერგვით მიღებული ეფექტები საქართველოში უამრავ ფაქტორზეა დამოკიდებული და გარკვეულ დამზებებს ეფუძნება. როგორც ეკონომისტები და ბიზნესის წარმომადგენლები აფასებენ მნიშვნელოვან დადებით შედეგებს მოდელი საშუალოვადიან და გრძელვადიან პერიოდში გამოიღებს, იქამდე კი მთვარობამ არ უნდა გაზარდოს მნიშვნელოვნად ადმინისტრაციული ხარჯები და ამგვარად იზრუნოს საბიუჯეტო დეფიციტის შევსებაზე და არა გაზრდილი აქციზის გადასახადებით, რომლის ცვლილებაც სპონტანურად, ბიზნესთან კომუნიკაციის გარეშე განხორციელდა. მეორე უმთავრესი საკითხი არის ხარვეზები მოდელში და ბიზნესის მხრიდან მზაობა. მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებს შესაძლოა გაუმარტივდეთ დეკლარაციის შევსების პროცედურები, თუმცა თვისებრივად ახალ მოდელზე გადასვლა

მათი მხრიდან დამატებით ხარჯებთან არის დაკავშირებული და სანამ კომპანიის ფინანსური მენეჯერები გაერკვევიან ახალ სისტემაში გარკვეულია დაპტაციის პერიოდი არის საჭირო. როგორც ირკვევა, მოდელის დანერგვა გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული და მნიშვნელოვანია მთავრობის სწორი კომუნიკაცია ბიზნესის წარმომადგენლებთან. ნებისმიერი საკანონმდებლო ცვლილება რასაც მთავრობა გეგმავს, რომ განახორციელოს უნდა იყოს თანხვედრაში ბიზნეს სუბიექტების ინტერესებთან და უნდა მიიღებოდეს ბიზნესთან აქტიური თანამშრომლობის შედეგად.

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა

1. ბასარია რ; 2012. გადასახადის არსის და საგადასახადო პოლიტიკის ზოგიერთი საკითხი, სამეცნიერო პრაქტიკული ჟურნალი „გადასახადები“ №7
2. ბახტაძე.ლ, კაკულია.რ, ჩიკვილაძე.მ; 2007. საგადასახადო საქმე, თბილისი
3. ერქომაიშვილი.გ, ალუდაური.დ; მოგების გადასახადის ესტონური მოდელის შედეგები საქართველოში.
4. კილაძე.ა; 2018.გადასახადები, მათი წარმოქმნის ისტორია და თეორიები
5. კოპალეიშვილი.თ, ჩიკვილაძე.მ; 2011. გადასახადები და დაბეგვრა, თბილისი
6. მესხია და სხვ; 2004. საგადასახადო ქრესტომათია. თბილისი: საგადასახადო მოხელეთა ატესტაციისათვის დამხმარე სახელმძღვანელო
7. მესხია.ი, გოცირიძე.მ, ლელაძე.რ; 2004. საგადასახადო ქრესტომათია, თბილისი
8. მესხია.ი,ნიკოლეიშვილი.ო; 2002. გადასახადები და დაბეგვრა. თბილისი.
„საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი
9. როგავა.ზ, სხიერელი.მ; 2003. საზღვარგარეთის ქვეყნების საგადასახადო სისტემები. თბილისი
10. როგავა.ზ; 2000. საგადასახადო სამართლის საფუძვლები, თბილისი
11. სილაგაძე.ა; 2001. ეკონომიკური აზრის ისტორიის საკითხები. თბილისი
12. ტერაშვილი.ნ; 2006. საგადასახადო და საბაჟო პოლიტიკა, თბილისი
13. ტერაშვილი.ნ; 2006. საგადასახადო და საბაჟო პოლიტიკა. თბილისი
14. ქორჩილავა.რ; 2014. საგადასახადო ადმინისტრირების ეფექტიანობის ამაღლების ეკონომიკურ - ფსიქოლოგიური ასპექტები, დისერტაცია ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი
15. ყამარაული ს, ჩოკოლაშვილი მ, ყამარაული ლ; 2010. გადასახადები და დაბეგვრა, თბილისი

16. შენგელია.თ, ნარმანია.დ, ერქომაიშვილი.გ, გრიგალაშვილი.გ; 2011;
საერთაშორისო ბიზნესი; თბილისი „უნივერსალი“
17. ხანიშვილი.ვ; 2016. არარეზიდენტი პირის მიერ წყაროს ქვეყანაში პასიური საქმიანობით მიღებული შემოსავლების საგადასახადო დაბეგვრის რეჟიმები. სამეცნიერო-ანალიტიკურ-პრაქტიკული ჟურნალი „ბიზნესი და კანონმდებლობა“, 2, 18-27;
18. ხელაშვილი.ე; 2018. ევროკავშირის ქვეყნების საგადასახადო სისტემის გავლენა საქართველოზე (ესტონური მოდელი), სამაგისტრო ნაშრომი, თბილისი
19. ჯანგირიანი.დ; 2016. საქართველოს საგადასახადო სისტემა და საგადასახადო პოლიტიკა, მათი როლი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში; თსუ, უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი
20. მოგების გადასახადის ესტონური მოდელის მთავარი საიდუმლო. (2016). Bpn. –
URL: <https://bpn.ge/biznesi/19129-mogebis-gadasakhadis-estonuri-modelis-mthavari-saidumlo.html?lang=ka-GE>
21. მოქალაქის გზამკვლევი 2019. 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონი, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო თბილისი, 2018 წელი.
<https://www.mof.ge/images/File/Citizens-Guide-2019-MOF-kanoni.pdf>
22. Doing Business and Investing in Georgia By PricewaterhouseCoopers Georgia LLC, 2020 Edition